პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 14 აგვისტო, 1949 წ. № 161 (8464). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უკეთესად მოვემსახუროთ დამსვენებლებს — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
ნიღაბი ჩამოგლეჯილია — „პრავდის“ 13/VIII მოწინავე (მე-2 გვერდი).
გ. ნატროშვილი — დიდი ისტორიული დოკუმენტი (მე-2 და მე-3 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-3 გვერდი).
თბილისის მშენებლებზე (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესად მოვემსახუროთ დამსვენებლებს

საქართველოს კურორტები საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის ნამდვილ სამჭედლოს წარმოადგენენ. ჩვენი კურორტების სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყოველთვიურად ათიათასობით მშრომელი მიემგზავრება, რათა მაღალნაყოფიერი შემოქმედებითი შრომის შემდეგ დაისვენონ, იმკურნალონ, აღიდგინონ ძალა და ენერგია.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ კომუნიზმის მშენებელი ადამიანების—ჩვენი ქვეყნის ამ ოქროს ფონდის — კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ათეულ მილიონობით მანეთი იხარჯება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, კურორტების კეთილმოსაწყობად, მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად. კურორტთა მუშაკების საპატიო ამოცანაა მუდამ იდგნენ თავის მოწოდების სიმაღლეზე, განუხრელად ახორციელებდნენ პარტიისა და მთავრობის ყოველ ღონისძიებას, იბრძოდნენ მტკიცე წესრიგისა და ორგანიზებულობისათვის ჩვენს კურორტებზე.

ბევრი კურორტი სანიმუშოდ მოემზადა მიმდინარე წლის სეზონისათვის. თავის დროზე შესრულდა შენობათა რემონტი, სანატორიუმები აღიჭურვა ახალი სამკურნალო ლაბორატორიებითა და კაბინეტებით, შეივსო მომზადებული და კვალიფიციური სამედიცინო კადრებით. დამსვენებელთა პირველი ნაკადის მიღებამ გამოავლინა ბევრი სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის ხელმძღვანელ მუშაკთა უნარი და ინიციატივა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაგრისა და აბასთუმნის, ბორჯომისა და ტებერდის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების კარგი მუშაობა, რომლებიც სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ და ახლაც სანიმუშოდ აქვთ დაყენებული დამსვენებელთა მომსახურება.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ყველა კურორტზე, სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში კარგად იყოს საქმე. როგორც „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები და დამსვენებლები იტყობინებიან, თუმცა ზოგიერთ კურორტზე მოწესრიგებულია დამსვენებელთა მკურნალობა, მაგრამ არადამაკმაყოფილებელია მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. დამსვენებელთა მხოლოდ კარგი სამკურნალო მომსახურება არარად იქცევა, თუ ამავე დროს მეორე მხარე —კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება — მოუწესრიგებელია. როგორც ჩანს, მთელი რიგი კურორტების ხელმძღვანელი მუშაკები ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ამის შედეგად ირღვევა მშრომელთა ნორმალური დასვენებისა და მკურნალობის მთლიანი კომპლექსი.

მაგალითად, ავიღოთ ახალი ათონის კურორტი. ზაფხულის პაპანაქება დღეებში აქ 500-ზე მეტი დამსვენებელი ჩამოვიდა. ყველა ელოდა, რომ მათი დასვენებისა და მკურნალობისათვის სანიმუშო პირობები იქნებოდა შექმნილი, მაგრამ ასე არ მოხდა. კურორტის ცენტრში ადგილობრივ სამომხმარებლო კოოპერაციას გახსნილი აქვს საკვაჭრო ფარდული № 10. რით ემსახურება ეს ფარდული დამსვენებლებს? შეიძლება ითქვას, არსებითად, არაფრით. გამაგრილებელი წყლები აქ იშვიათადაა, არც სხვა საქონლის სავალდებულო ასორტიმენტი აქვთ. ადგილობრივი სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა, რომელსაც აკისრია დამსვენებელთა მომსახურება, სრულ უმოქმედობას იჩენს. არც „კურორტვაჭრობის“ მუშაკები დგანან მოწოდების სიმაღლეზე. მათი მოუქნელი მუშაობით პირველი თანრიგის სანატორიუმები „აფხაზეთი“ და „ზღვისპირეთი“ ცუდად მარაგდებიან ბოსტნეულით, ხილით და ხორცით. ახალი ათონის კურორტზე სხვა დაუდევრობაც არის. აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს უყურადღებობით წყობილებიდან არის გამოსული აქ არსებული ხელოვნური ტბა, რომელზეც დამსვენებლები ნავებით სეირნობდნენ ხოლმე. ათ წელზე მეტია ტბის ფსკერი არ გაუწმენდიათ და ის სანახევროდ ამოვსებულია შლამით. ამის გამო ტბაზე სეირნობა შეუძლებელია. ესეც რომ არ იყოს, საჭირო ნავები აქ არ აქვთ, ხოლო რაც არის, ისიც შესაკეთებელია.

ქობულეთის კურორტზეც ყველაფერი რიგზე როდია. სეზონის გახსნისათვის კურორტი მთლიანად რადიოფიცირებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადიოკვანძის მშენებლობა ჯერაც არაა დაწყებული. „კურორტვაჭრობის“ ქობულეთის განყოფილებამ მთლიანად ვერ უზრუნველყო დამსვენებელთა მომსახურება. სავაჭრო წერტილებისა და ფარდულების დიდი უმრავლესობა მხოლოდ ცენტრშია მოთავსებული. არ არის ნაყინი და გამაგრილებელი წყლები, იშვიათია ხილი და სხვა სამომხმარებლო საგნები. ასეთი მდგომარეობის გამო, ცხადია, დამსვენებლები კანონიერ უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

მსგავს მდგომარეობას იტყობინებიან დამსვენებლები კურორტ ჯავიდან. ამ კურორტზე ჟურნალ-გაზეთების მიღება ძნელია. მოუწესრიგებელია დამსვენებელთა გადაყვან-გადმოყვანა ავტომანქანებით. კურორტის ხელმძღვანელობა სრულ უმოქმედობას იჩენს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საკურორტო სეზონი გრძელდება. ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხიდან ათასობით მშრომელი მოეშურება შავი ზღვის სანაპიროსაკენ, აფხაზეთისა და ბორჯომის მაღალმთიანი კურორტებისაკენ, რათა გონივრულად გამოიყენონ დიადი სტალინური კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული დასვენების უფლება. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მთავარ საკურორტო სამმართველოს, საქართველოს „კურორტვაჭრობის“, ყველა სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის მუშაკთა მოვალეობაა შექმნან ყველა პირობა დამსვენებელთა სანიმუშო მომსახურებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ მათს ტერიტორიებზე არსებული კურორტების მუშაობაში სრული წესრიგის დამყარებას, პერიოდულად შეამოწმონ ცალკეული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საქმიანობა, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახონ სათანადო ღონისძიებანი და იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის.

საქართველოს კურორტებზე ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ მკურნალობისა და დასვენების შემდეგ თვითეული მშრომელი ყოველმხრივ კმაყოფილი დაუბრუნდეს თავის მშობლიურ ქარხანას, ფაბრიკას, სამეცნიერო ლაბორატორიას და საბჭოთა დაწესებულებას. ეს არის საკურორტო მუშაკთა სახელისა და ღირსების საქმე.

საბჭოთა კავშირში

მიტინგი მირგოროდში (უკრაინის სსრ, პოლტავის ოლქი), მიძღვნილი დავით გურამიშვილის საფლავზე ძეგლის გახსნისადმი. ფოტო ბ. კეკალოსი (საკდესის ფოტოქრონიკა)

ბ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე და მეოთხე ტომების გამოცემა ბელორუსულ ენაზე

მინსკი, 11 აგვისტო. (საკდესი). ბელორუსიის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მესამე და მეოთხე ტომები ბელორუსულ ენაზე. თარგმანი შესრულებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბელორუსიის ფილიალის მიერ.

ა. მ. გორკის თხზულებათა 30-ტომიანი კრებულის ახალი მასშტაბური გამოცემა

იწყება ა. მ. გორკის თხზულებათა 30-ტომიანი კრებულის გამოცემა.

1938 წლის გამოცემასთან შედარებით დიდი მწერლის თხზულებათა ახალი გამოცემა მოცულობით ერთიორად უფრო დიდია და სამჯერ უფრო სწრაფად გამოიცემა — 1949-1952 წლების განმავლობაში. მისი ტირაჟია 300 ათასი ცალი.

ა. მ. გორკის თხზულებათა 30-ტომიანი კრებულის მომზადება დაეკისრა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტს. სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობა დავალებული აქვს მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას.

თხზულებათა კრებულის პირველი ორი ტომი წელს უნდა გამოვიდეს. 1950 წელს განზრახულია გამოუშვან 8 ტომი, 1951 და 1952 წლებში — ათ-ათი ტომი. (საკდესი).

მოძმე ხალხთა კულტურის ერთიანობის დღესასწაული

კიევის მშრომელები პატივისცემით აღნიშნავენ დავით გურამიშვილის ხსოვნას

კიევი, 10 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ კიევის მწვანე თეატრში გაიმართა ქართული პოეზიის კლასიკოსის დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საღამო. თეატრში შეიკრიბა საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის 3 ათასზე მეტი მშრომელი. დნეპრის ლამაზი ფერდობები გაჩირაღდნებულია ილუმინაციით.

პრეზიდიუმში არიან ალექსანდრე კორნეიჩუკი, მიკოლა ბაჟანი, პავლო ტიჩინა, საქართველოს მწერლების დელეგაცია სანდრო შანშიაშვილის, კარლო კალაძის, მაყვალა მრევლიშვილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტის ალექსანდრე ბარამიძისა და კრიტიკოს ბესო ეღენტის შემადგენლობით, ალმანახ „ხალხთა მეგობრობის“ მთავარი რედაქტორი გიმტრო გოლცევი, მწერლები ლუბომირ დმიტერკო, სიმონ სკლიარენკო, დმიტრო კოსარიკი და სხვები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა. მან დამსწრეთ უამბო, თუ რა ზეიმით აღნიშნეს პოლტავის და მთელი უკრაინის მშრომელებმა ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა მირგოროდში და ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ამ მოვლენისა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს დიდი რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების ურღვევ სტალინურ მეგობრობას.

დავით გურამიშვილის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა პროფესორმა ალექსანდრე ბარამიძემ.

შემდეგ მოხსენება „დავით გურამიშვილი უკრაინაში“ გააკეთა მწერალმა დმიტრო კოსარიკმა.

სტალინური პრემიის ლაურეატმა პოეტმა დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა აღფრთოვანებით წაიკითხა თავისი ლექსი, რომელიც მიძღვნილია უკრაინის განთავისუფლებისადმი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

პოეტმა პავლო ტიჩინამ წაიკითხა გიორგი ლეონიძის ლექსების თარგმანი და აღნიშნა, თუ რა მუშაობას ეწევა დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ პოეტ მაყვალა მრევლიშვილს, რომელმაც ქართულ ენაზე წაიკითხა ლექსი „უკრაინას“.

გიორგი ლეონიძის ნაწარმოებთა თავისი თარგმანები წაიკითხა პოეტმა მაქსიმ რილსკიმ.

ქართველი მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელმა კარლო კალაძემ წაიკითხა მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნისა და უკრაინაში პოეტის ხსოვნის ზეიმით აღნიშვნისადმი მიძღვნილი ახალი ლექსები.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სტალინური პრემიის ლაურეატს პოეტ ვლადიმერ სოსიურას, რომელმაც წაიკითხა დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმა ალექსანდრე კორნეიჩუკმა. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინაში დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ზეიმს, რაც გადაიქცა საბჭოთა კულტურის ზეიმად, დიდი სტალინისადმი სსრ კავშირის ხალხთა ერთგულების, მათი ერთიანობის დემონსტრაციად.

* * *

ქართველი მწერლები ინტერესით გაეცნენ უკრაინის დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, კულტურულ დაწესებულებებს, ისტორიულ ძეგლებს. ისინი ეწვივნენ ტ. გ. შევჩენკოს სახელობის მუზეუმს, დათვალიერეს ხალხური შემოქმედების გამოფენა, მოაწყეს გასეირნება დნეპრზე, ნახეს ვ. ი. ლენინის, ნ. თ. ვატუტინის, ტ. გ. შევჩენკოს, ბოგდან ხმელნიცკის ძეგლები, იყვნენ ლესია უკრაინკის საფლავზე და შეამკეს საფლავი ყვავილებით.

ბ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა

მალოარხანგელსკი. (ორიოლის ოლქი), (საკდესი).

აქ ძეგლი აუგეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ სეზეიმო სხდომაზე შეიკრიბნენ ქალაქის რამდენიმე ათასი მცხოვრებნი და ახლომახლო სოფლების კოლმეურნეები.

ალექსანდრიე ოსკინმა აიღო 1000 ჰექტარი მოსავალი

სტანიცა ნოვო- კუბანსკაია (კრასნოდარის მხარე), (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა კომბაინერმა ალექსანდრე ოსკინმა დაამთავრა პირველი ათასი ჰექტარი მარცვლეული კულტურების აღება და მეორე ათასი ჰექტარის ანგარიშში უკვე აიღო 74 ჰექტარი ხორბალი.

იგი სტალინის სახელობის ვვებმრეწვკომბინატის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში იღებს უხვმოსავლიანი პურეულის მოსავალს და ორი გადაბმული „სტალინეც — 6-ის“ ბუნკერებიდან უკვე გადმოტვირთა 18.142 ცენტნერი მარცვლეული.

კომისიამ საუკეთესოდ ცნო მოსავლის აღების ხარისხი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად 1948 წელს **მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის** მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს საოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და ყველა სახის პირუტყვის მიხედვით მეცხოველეობის განვითარების გეგმა, **დაჯილდოვდნენ:**

შრომის წითელი დროშის ორდენით

დანელიანი ერვანდ ავეტიკის-ძე — თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის“ უფროსი მეჯინიბე, რომელმაც წლის დამდეგისათვის არსებულ 20 ფაშატზე თავლაში შენახვისას გაზარდა 19 კვიცი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **ნავროზაშვილი** მიხეილ ილიას-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარე.
2. **უსენაშვილი** ბაგრატ ილიას-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მეცხენეობის ფერმის გამგე.
3. **უსენაშვილი** ვლადიმერ სეითის-ძე — სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ უფროსი მეჯინიბე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 11 აგვისტო.

საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

საბურთალოს მშრალი წნეხის აგურის ქარხნის (დირექტორი პ. მითაგვარია) კოლექტივი დიდი ხანია ინარჩუნებს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

მეაგურეებმა განსაკუთრებული ნაყოფიერებით იმუშავეს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში. გეგმით გათვალისწინებული 4 მილიონის ნაცვლად მათ გამოუშვეს 4.270.900 ცალი აგური და კვარტალური დავალება 106,7 პროცენტით შეასრულეს, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 10,6 პროცენტით, თვითღირებულება შეამცირეს ერთნახევარი პროცენტით და მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეაჯამეს მეორე კვარტალის მუშაობის შედეგები და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნეს საბურთალოს აგურის ქარხნის კოლექტივი, რომელსაც მიეკუთვნა მეორე ფულადი პრემია.

კუკავინელი ოსტატები სტუმრად თბილისელ ფეიქრებთან

12 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდნენ სახელოვანი კუპავინელი სტახანოველები, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები მარიამ როჟნევა და ლიდია კონონენკო.

სტუმრები ეწვივნენ საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მოწინავე საწარმოს — თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის კოლექტივს, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ფაბრიკის საამქროების დათვალიერებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულ სტახანოველთა მუშაობის გაცნობის შემდეგ ფაბრიკის კლუბის დარბაზში გაიმართა სტუმრებთან შეხვედრა.

შეხვედრაზე დასასწრებლად მოვიდნენ თბილისის სხვა სათიეიქრო საწარმოთა მოწინავე ადამიანებიც. ამხ. როჟნევამ და კონონენკომ თბილისელი ფეიქრების წარმომადგენლებს უამბეს თავიანთი მუშაობის და საწარმოო მიღწევების შესახებ, გაუზიარეს მათ ნედლეულის ეკონომიისათვის ბრძოლის გამოცდილება.

შეხვედრისას ნედლეულის ეკონომიისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების მნიშვნელობისა და საშუალებათა შესახებ სიტყვები წარმოთქვეს საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. ცაგარეიშვილმა, მაუდ-კამოლის ფაბრიკის მოწინავე მჭსოველებმა გრიგოლ ახალკაცმა და ქსენია ბარამიძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა თამარ კოპალეიშვილმა და სართავ-საჭრიკოტაჟო კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა ი. ნეფარიძემ.

გარდამავალი დროშა თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკას

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით ფაბრიკის კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას მიეკუთვნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამ ცნობამ ფაბრიკის კოლექტივში დიდი აღფრთოვანება და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია.

მაღალი ჯილდოს პასუხად

მევენახეთა სიხარული

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებამ საქართველოს მოწინავე მევენახეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ზესტაფონელ კოლმეურნეთა შორის. კოლმეურნეობებში ეწყობა ბრძანებულების განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგები. მევენახეები უდიდეს სიხარულს გამოთქვამენ პარტიისა და მთავრობის ესოდენ დიდი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად.

სოფელ თვრინის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ბრძანებულების პასუხად იკისრეს 27 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 104 ცენტნერი ყურძენი. ვენახებს აქ კარგად უვლიან, უკვე ემზადებიან რთველისათვის. კოლმეურნეობამ შეიძინა 7 ტონა მავთული, მიმდინარეობს ვენახების შემოღობვა, შეკეთებულია მარანი, ყურძნის საწურავი იარაღ-მანქანები და სხვ. კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ კვანტრიშვილმა მიტინგზე განაცხადა:

— სიტყვები არ მყოფნის იმ დიდი სიხარულის გამოსახატავად, რაც განმაცდევინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებამ ჩემთვის და ჩვენი კოლმეურნეობის 7 წევრისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი 10,03 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 110 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 42 ცენტნერისა. მერგოლურმა სოციალისტურმა შრომის გმირმა ილია გაჩეჩილაძემ თქვა: — ის საპატიო წოდება, რომელიც მე და სხვა წარჩინებულ მევენახეებს მოგვენიჭა, იმის მკაფიო დადასტურებაა, თუ როგორ ზრუნავენ მევენახეობის განვითარებისათვის, ჩვენთვის, მევენახეებისათვის ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და დიდი სტალინი. პირობას ვიძლევი არ დავიშურო ძალღონე, საუკეთესოდ მოვუარო ვენახს და 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოვიწიო 115 ცენტნერი შამპანური ჯიშის ყურძენი.

სოფელ დიდი განთიადის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ გველესიანმა მიტინგზე თქვა: ვკისრულობ თვალისჩინივით გავუფრთხილდე ყოველ ძირვაზს, თვითეულ ჰექტარზე მოვიწიო 125 ცენტნერი ყურძენი. მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ანა ტყემალაძემ განაცხადა: სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში ჩვენ, ქალები, მამაკაცების თანაბრად ვმონაწილეობთ ქვეყნის ცხოვრებაში. მევენახეობის რგოლს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ძირითადად ქალებისაგან შედგება და ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ. რგოლს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია კოლმეურნეობაში ყურძნის უხვი მოსავლის მიღების მხრივ. რგოლის სახელით სიტყვას ვიძლევი 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ სულ ცოტა 130 ცენტნერი ყურძენი.

ახალი ვალდებულებანი იკისრეს სოფელ მეორე სვირის ლენინის, სტალინის და მოლოტოვის, ქვედა საქარის ბერიას, კლდეეთის ჩარკვიანის, ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა.

ნიღაბი ჩამოგლეჯილია

საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე სლოვენიის კარინტიის საკითხის გამო, რაც 12 აგვისტოს გამოქვეყნდა, ამხილებს ამ ორპირულ, გამცემლურ პოლიტიკას, რომელსაც იუგოსლავიის მთავრობა ეწევა. საბჭოთა მთავრობის პასუხი ამხილებს იუგოსლავიის მთავრობის მიერ იუგოსლავიის ხალხების შანტაჟისა და მოტყუების ამ პოლიტიკის ფესვებს, მთავრობისა, რომელიც დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკიდან გადაბარგდა უცხოეთის კაპიტალისა და რეაქციის ბანაკში. საბჭოთა მთავრობის პასუხი ბოლომდე ამხილებს ტიტოს, ჯილასის, კარდელის, რანკოვიჩის ხროვას, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული იმპერიალისტურ წრეებთან და მათ საამებლად ეწევა ალვირახსნილ ცილისმწამებელურ კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობის ნოტაში მოცემულია იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკისა და იმ ფაქტების ღრმა ანალიზი, რომლებიც ახასიათებენ ამ პოლიტიკას სლოვენიის კარინტიის საკითხში. საბჭოთა ნოტა ამ პოლიტიკას სამართლიანად ახასიათებს, როგორც იუგოსლავიის ხალხების მოტყუებისა და იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა საზიანოდ დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან გარიგებათა პოლიტიკას.

როგორც ცნობილია, ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწესრიგების ძირითად საკითხთა რიცხვს ეკუთვნის ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების საკითხიც. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის მთავრობამ ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიური და ტერიტორიული პრეტენზიები ავსტრიისადმი, რომელთა ცენტრში იდგა იუგოსლავიისათვის სლოვენიის კარინტიისა და შტირიის სლოვენური სასაზღვრო რაიონების გადაცემის საკითხი. ამ ტერიტორიის საერთო ფართობი უდრის 2.600 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 190 ათასს.

მიუხედავად გაგერმანულების სასტიკი პოლიტიკისა, სლოვენიის კარინტია დღემდე დარჩა, როგორც ტერიტორია სლოვენი მოსახლეობის უმრავლესობით. სლოვენიის კარინტიაშია სლოვენი ხალხის კულტურის ერთ-ერთი ცენტრი, სლოვენიის კარინტია იუგოსლავიასთან დაკავშირებულია ძველი ეთნიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობით, სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ თავიდანვე მხარი დაუჭირა იუგოსლავიისათვის სლოვენიის კარინტიის გადაცემას და იცავდა ამ მოთხოვნას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიებზე და საერთაშორისო კომისიებში, რომლებიც მუშაობდნენ ავსტრიასთან ხელშეკრულების პროექტის შედგენაზე.

ბუნებრივი იყო იმის მოლოდინი, რომ იუგოსლავიის მთავრობა ნამდვილად დაიცავდა ამ მოთხოვნებს, რომლებსაც ესოდენ საარსებო მნიშვნელობა აქვთ სლოვენიის კარინტიისათვის და იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა დასაცავად. მაგრამ სინამდვილეში ასე როდი მოხდა. უკვე 1947 წლის დამდეგს იუგოსლავიის მთავრობამ უარი თქვა სლოვენიის კარინტიაზე და ამ საკითხში ახალი პოზიცია დაიკავა. როგორც საბჭოთა მთავრობის ნოტაშია აღნიშნული, იუგოსლავიის პრემიერის მოადგილემ ბ-ნმა კარდელმა 1947 წლის აპრილში იუგოსლავიის მთავრობის სახელით წერილი გაუგზავნა ა. ი. ვიშინსკის, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ეს ახალი პოზიცია ავსტრიისადმი იუგოსლავიის პრეტენზიების შესახებ.

რაში მდგომარეობდა ეს პოზიცია?

კარდელის აღნიშნული წერილის ტექსტიდან, რომელიც საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტასთან ერთად გამოქვეყნდა, ჩანს, რომ იუგოსლავიის მთავრობა უარს ამბობს სლოვენიის კარინტიაზე და აზრს გამოთქვამს იმის სასარგებლოდ, რომ დასჯერდება მცირე ტერიტორიის მოთხოვნას, რომელიც აკრავს ორ ელექტროსადგურს მდინარე დრავაზე.

კარდელის 1947 წლის 20 აპრილის წერილი თანდართული ორი ვარიანტით ამტკიცებს, რომ ამ დროისათვის იუგოსლავიის პრეტენზიები ის კი აღარ იყო, რომ მიეღო სლოვენიის კარინტიის ტერიტორიის თუნდაც მცირე ნაწილი — პირველი ვარიანტით 210 კვადრატული კილომეტრი 9 ათასზე ცოტა მეტი მოსახლით, მეორე ვარიანტით — 63 კვადრატული კილომეტრი 3 ათასი მოსახლით, არამედ მხოლოდ ის, რომ იუგოსლავიის მთავრობისათვის მიენიჭებინათ განსაკუთრებული უფლებები სხვის ტერიტორიაზე ორი ელექტროსადგურის მართვის საქმეში.

კარდელის წერილში ნათქვამია, რომ „საკითხი შეიძლება გადაწყდეს მცირე სასაზღვრო შესწორებით, რისთვისაც გიდგენთ ორი ვარიანტის პროექტს, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაწყდეს ამ საზღვრების მართვაში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის განსაკუთრებულ უფლებათა დაწესებით“.

ეს პირდაპირი უარი იყო სლოვენიის კარინტიაზე.

ამის გამო საბჭოთა მთავრობის ნოტა სამართლიანად შენიშნავს, რომ იუგოსლავიის მთავრობას „უკვე 1947 წლის აპრილში საჭიროდ მიაჩნდა უარი ეთქვა არა მარტო სლოვენიის კარინტიაზე და არა მარტო მცირე ტერიტორიაზე სლოვენიის კარინტიის შემადგენლობიდან, არამედ ავსტრიისადმი ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზეც.

ეს იყო მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობა დასავლეთ სახელმწიფოთა თათბირებზე მოითხოვდა სლოვენიის კარინტიას იუგოსლავიისათვის.

ასეთია უდავო ფაქტი“.

ეს ფაქტი დამაჯერებლად მეტყველებს, რომ მთელი პასუხისმგებლობა სლოვენიის კარინტიაზე უარისათვის ეკისრება იუგოსლავიის მთავრობას და მხოლოდ იუგოსლავიის მთავრობას.

თავის 8 აგვისტოს ნოტაში იუგოსლავიის მთავრობა აღნიშნავს, რომ სლოვენიის კარინტია გახდა „ხურდა ფული დასავლეთ სახელმწიფოებთან ვაჭრობაში“ და რომ ამიგად „წაგებულია იუგოსლავიის სამართლიანი მოთხოვნები“. მაგრამ ვიღამ გადააქცია სლოვენიის კარინტია „ხურდა ფულად“, ვინ იმსხვერპლა სლოვენიის კარინტია იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა საზიანოდ?

ამ კითხვაზე საბჭოთა მთავრობის ნოტა სამართლიანად უპასუხებს:

„იუგოსლავიის მთავრობა თავის 8 აგვისტოს ნოტაში სლოვენიის კარინტიაზე უარის თქმას ახასიათებს როგორც ღალატს, როგორც კარინტიის სლოვენი მოსახლეობის ინტერესთა გამცემლობას, როგორც ნაციონალური თვითგამორკვევის უფლებათა დარღვევას, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკის გამოხატულებას, როგორც სლოვენიის კარინტიის ხურდა ფულად გადაქცევას და სხვ. თუ აქ მართლა ადგილი აქვს ღალატსა და იუგოსლავიის ინტერესთა გამცემლობას, მაშინ გამცემად და მოღალატედ, როგორც კარდელის წერილიდან ჩანს, უნდა ჩაითვალოს იუგოსლავიის მთავრობა და მხოლოდ იუგოსლავიის მთავრობა“.

და მართლაც, განა ამას არ მოწმობს ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის ზურგს უკან დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან იუგოსლავიის წარმომადგენელთა საიდუმლო მოლაპარაკებისას, რომლის დროსაც სლოვენიის კარინტია ვაჭრობისა და გარიგების საგანი იყო, ამ იუგოსლავიის ნოტის ენით თუ ვიტყვით, გადაქცეული იყო „ხურდა ფულად“? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ტიტო-რანკოვიჩის მთავრობამ უღალატა სლოვენიის კარინტიას, უღალატა სლოვენი ხალხისა და იუგოსლავიის ინტერესებს?

ბოლოს, განა ფაქტი არ არის, რომ იუგოსლავიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას დაუმალა ეს მოლაპარაკებაც და მისი შედეგებიც, რომელთა შესახებ საბჭოთა მთავრობამ დღემდე არაფერი იცის, ისე როგორც არ იცის, თუ ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს მოლაპარაკება? ყოველივე ეს ფაქტებია და სამარცხვინო ფაქტები, რომლებსაც იუგოსლავიის მთავრობა ვერსად გაიქცევა!

ახორციელებდა რა სლოვენიის კარინტიაზე უარისა და დასავლეთ სახელმწიფოებთან გარიგების გეგმას, იუგოსლავიის მთავრობა ორპირულ პოლიტიკას ეწეოდა საბჭოთა კავშირის მიმართ. დალატობდა რა სლოვენიის კარინტიის ინტერესებსა და იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებებს, იუგოსლავიის მთავრობა ამავე დროს ცდილობდა იუგოსლავიის ხალხთა თვალში შეექმნა ყალბი წარმოდგენა, რომ იგი თითქოს კვლავ იცავდა თავის პირვანდელ მოთხოვნებს იუგოსლავიისათვის სლოვენიის კარინტიის გადაცემის შესახებ. იუგოსლავიის მთავრობის გეგმას შეადგენდა ამ გარიგების ისე წარმართვა, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ უარისათვის საბჭოთა მთავრობას დაკისრებოდა. ამას დამაჯერებლად მოწმობს ტიტოს საუბარი საბჭოთა ელჩთან 1947 წლის აგვისტოში, როცა ტიტომ წინადადება დაუყენა, რომ საბჭოთა მთავრობას საკუთარი ინიციატივითა და თავისი სახელით წამოეყენებინა მინიმალური შეკვეცილი ტერიტორიული მოთხოვნები, რომლებიც არსებითად სლოვენიის კარინტიაზე უარს ნიშნავდა. მაგრამ თვით იუგოსლავიის მთავრობა უარს ამბობდა პატიოსნად და ოფიციალურად წამოეყენებინა ასეთი წინადადებანი, რადგან არ სურდა ეკისრა პასუხისმგებლობა ამ წინადადებებისათვის.

როგორც 11 აგვისტოს ნოტის სათანადო ადგილიდან ჩანს, ტიტომ გულახდილად განაცხადა, რომ „თუ მოითხოვენ იუგოსლავიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებას სლოვენიის კარინტიაზე შემდგომ მოთხოვნაზე უარის შესახებ, იუგოსლავიის მთავრობა ასეთ განცხადებას ვერ გააკეთებს“ და დასძინა, რომ „იუგოსლავია თავის მინიმალურ მოთხოვნებზე უფრო იტყვის უარს, ვიდრე ამგვარ გაცხადებას გააკეთებდეს“.

ასე მოქმედებდა იუგოსლავიის მთავრობა და ცდილობდა განეხორციელებინა თავისი ორპირული გეგმა, რომლის შესაბამისად იგი განზე უნდა მდგარიყო და არ ეკისრნა არავითარი პასუხისმგებლობა სლოვენიის კარინტიაზე უარისათვის, რაც უკვე გადაწყვეტილი იყო იუგოსლავიის მთავრობის მიერ ჯერ კიდევ 1947 წლის აპრილში. მას იმედი ჰქონდა ამრიგად ერთხელ კიდევ მოეტყუებინა იუგოსლავიელი ხალხი და დაეფარა თავისი პოლიტიკური თაღლითობა.

ამ მიზნით იუგოსლავიის მთავრობა მიმართავს ყოველგვარ ინსინუაციასა და ცილისმწამებლურ მონაკორს და ამტკიცებს, მაგალითად, რომ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები 1946 და 1947 წლებში ვითომდა წინადადებას აძლევდნენ იუგოსლავიის მთავრობას შეემცირებინა თავისი ტერიტორიული მოთხოვნები ავსტრიისადმი. ეს ცილისმწამებლური მონაკორი მაშინვე ოფიციალურად უარიყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც ამასთან ამხილა იუგოსლავიის წარმომადგენლის ბებლერის პროვოკაციული როლი. მართლაც, ეს იუგოსლავიელი წარმომადგენელი ბებლერი ცდილობდა, რომ საბჭოთა წარმომადგენლებს შეეტანინ ასეთი წინადადება, მაგრამ საბჭოთა წარმომადგენლებმა უარყვეს ასეთი თავხედური მოთხოვნები.

ახლა იუგოსლავიის მთავრობა ცდილობს ისე მოგვაჩვენოს თავი, თითქოს აღშფოთებულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიღებულია პარიზის სესიაზე ავსტრიის ხელშეკრულების საკითხის გამო. ფარისეველური აღშფოთებით იგი თავს ესხმის ამ გადაწყვეტილებებს და ცდილობს თავი გაასაღოს სლოვენიის კარინტიაზე იუგოსლავიის უფლებათა დამცველად.

მაგრამ ეს წამოწყება სრული მარცხით დამთავრდა. საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტაში მოყვანილი ფაქტები დამაჯერებლად ამტკიცებენ იუგოსლავიის მთავრობის ბინძური მაქინაციების ჩაფუშვას.

იუგოსლავიის მთავრობა, იყენებდა რა სიცრუესა და ცილისწამებას, ცდილობდა დაეფარა თავისი ხალხისაგან და მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობისაგან უცხოეთის კაპიტალის წარმომადგენლებთან საიდუმლო შეთანხმება კარინტიის სლოვენთა ინტერესების ხარჯზე და იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა საზიანოდ.

იუგოსლავიის მთავრობა სიცრუითა და ცილისწამებით იმის შესახებ, რომ თითქოს „არსებობს დაპირება, რომელიც სტალინმა მისცა ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტ რენერს ავსტრიის 1938 წლის საზღვრების გარანტიის შესახებ“, ცდილობდა დაეფარა თავისი გამცემლური უარი სლოვენიის კარინტიაზე. იუგოსლავიის მთავრობამ იცოდა, რომ ცნობები ასეთი „დაპირების“ შესახებ გამოგონილია. მიუხედავად ამისა, იგი შეეცადა ეს მონაკორი გამოეყენებინა თავისი ცილისმწამებლური მიზნით. ამგვარადაც იგი მხილებულია სიცრუესა და ცილისწამებაში.

იუგოსლავიის მთავრობამ, დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან საიდუმლო გარიგებების შედეგად, უარი თქვა სლოვენიის კარინტიაზე და ცდილობს მოატყუოს იუგოსლავიის ხალხები. იუგოსლავიის მთავრობის ეს სიცრუეც სავსებით მხილებულია.

ასეთია ფაქტები.

საბჭოთა მთავრობამ ამ ფაქტებიდან თავისი დასკვნები გააკეთა. ეს დასკვნები უდავოა. ამ დასკვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოხატულია საბჭოთა ნოტის უკანასკნელ სიტყვებში: „დაე იცოდნენ იუგოსლავიის ხალხებმა, რომ საბჭოთა მთავრობას იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა მიაჩნია საბჭოთა კავშირის არა მეგობრად და მოკავშირედ, არამედ მის მტრად და მოწინააღმდეგედ“.

„პრავდის“ 13/VIII მოწვინავე

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

მოკრძალებული ტონი

გაზეთ **„საბჭოთა აჭარაში“** დაიბეჭდა კორესპონდენცია „სესიის გადაწყვეტილებები განუხრელად უნდა სრულდებოდეს“, რომელიც ეხება მმრომელთა დეპუტატების მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს საქმიანობას. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ თუმცა მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს სესიები რეგულარულად იწვევა და განხილულ საკითხებზე სათანადო გადაწყვეტილებებიც გამოაქვთ, მაგრამ ყველაფერი ეს ფორმალური ხასიათს ატარებს. როგორც გაზეთი წერს, აქ

„..საბჭოს სესიები მოუმზადებლად ტარდება. სესიების მომზადებასა და მუშაობაში სუსტად მონაწილეობენ მუდმივი კომისიები და დეპუტატები. სესიებზე მიღებული დადგენილებები ზოგადია და ვერ რაზმავს მმრომელთა ფართო მასებს საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის“.

გაზეთი კონკრეტული ფაქტებით ამტკიცებს ნათქვამს. მუხაესტატეს სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები ამჟამად ჩამორჩენიან ჩაის მწვანე ფოთოლის კრეფაში. საბჭოს სესიას ჩაის პლანტაციების მოვლის საკითხი ჯერ კიდევ იანვარში განუხილავს, მაგრამ ამას გარკვეული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოს აღმასკომს ხელიც არ გაუნძრევია სესიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მიმდინარე წლის 29 აპრილს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. გოხიძემ სესიას ჩაობარა ანგარიში 1948 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. გაზეთი სამართლიანად შენიშნავს, რომ

„ასეთ შემთხვევაში სესიის მუშაობა უნდა წარმართულიყო ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით. სინამდვილეში სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის არც ერთი ნაკლი არ იყო მხილებული...“

მოხსენების გამო მიღებულ გადაწყვეტილებაში რვა ღონისძიებიდან შვიდის შესრულება სესიამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და აგრონომებს დაავალა, აღმასკომს კი ჩაუწერა: „სისტემატურად მოისმინოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ანგარიში და დაუსახოს მათ კონკრეტული ღონისძიებები“.

სამართლიანია, რომ „საბჭოთა აჭარა“ სასოფლო საბჭოს აკრიტიკებს, მაგრამ რატომ ეკრძალება გაზეთს მოფითითოს რაისაბჭოს აღმასკომს, რომ იგი სუსტად ხელმძღვანელობს ამ სასოფლო საბჭოს. ნუთუ რაისაბჭოდან არავინ ჩასულა მუხაესტატეში საბჭოს საქმიანობის შესასწავლად! თუ არ ჩასულან, მით უმეტეს, უნდა ეთქვა ეს გაზეთს.

პარტიული ცხოვრების საკითხები კედლის გაზეთში

გაზეთ **„ინდუსტრიულ ქუთაისს“** პატარა, მაგრამ საყურადღებო წერილი აქვს დაბეჭდილი ლიტოპონის ქარხნის კედლის გაზეთ „ლიტოპონელთა ხმის“ შესახებ. ეს კედლის გაზეთი ლიტერატურულ უყურადღებოს უმნიშვნელოდ ჩაუთვლელი ცხოვრების საკითხების გაშუქებას. თითქმის არ არის გაზეთის ისეთი ნომერი, რომელშიც აღნიშნულ თემაზე სამი-ოთხი მასალა არ იყოს მოთავსებული.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ „ლიტოპონელთა ხმაში“ სისტემატურად შუქდება კომუნისტების იდეოლოგიური აღზრდის ცალკეული საკითხები. მაისის ნომერში მოთავსებული წერილი — „კომუნისტების თეორიული დონის ამაღლებისათვის“ — სწორად ასახავს ქარხნის პარტიული ორგანიზაციების მუშაობას ამ მიმართულებით. ამავე საკითხისადმი მიძღვნილია საამქროს ბრიგადირის ს. ბოგუსლავსკაიას წერილი „როგორ ვმეცადინეობ პოლიტსკოლაში“, რომელშიც იგი მკითხველებს მოუთხრობს თავის გამოცდილებაზე. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ

„ქარხნის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები გაზეთში ხშირად წერენ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. გაზეთში სისტემატურად თანამშრომლობს ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. შ. მიქაბერიძე... აღსანიშნავი ისიც, რომ სარედაქციო კოლეგია სერიოზულ ყურადღებას აქცევს გაზეთში კრიტიკული შენიშვნების გამოქვეყნებას, ამასთან ენერგიულად იბრძვის წერილების ქმედითობისათვის“.

მზისელ კოლმეურნეთა ზეიმი

სოფელ მზისას და მისი მეზობელი სოფლების კოლმეურნეთა სიხარულზე მოგვითხრობს ქლუხორის რაიონული გაზეთი **„განთიადი“**. კოლმეურნეთა სიხარულის მიზეზია მათ მიერ მოპოვებული მორიგი გამარჯვება. „განთიადი“ წერს:

„ეს იყო 1949 წლის 31 ივლისს. ქლუხორის რაიონის მზისას ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა დაამთავრეს და აამუშავეს მიდროელექტროსადგური. ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო ამ სოფლის კოლმეურნეობის ცხოვრებისათვის, არამედ მთელი რაიონისთვისაც. მზისას მიდროელექტროსადგურის ამუშავებით დამთავრდა ქლუხორის რაიონის მთლიანი ელექტროფიკაცია. ახლა ჩვენი რაიონის სოფლები და კოლმეურნეობები მთლიანად ელექტროფიცირებულია“.

მზისელ კოლმეურნეთა ამ მორიგ გამარჯვებას მიეძღვნა მიტინგი. მზისელთა ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მახლობელი სოფლების კოლმეურნეები.

„მიტინგი დამთავრდა. — წერს გაზეთი, — იხსნება საგუბარი... მდინარე ტებერდის წყალს მოძრაობაში მოჰყავს გენერატორი... ილიჩის ნათურებმა კომუნიზმის მორიგი გამარჯვების მძლავრი შუქით გააჩირაღდნეს კოლმეურნეთა ოჯახები“.

ახალი სკვერი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). სოფლის ცენტრში, სადაც ი. ბ. სტალინისა და ლ. პ. ბერიას მონუმენტებია აღმართული, გამენდება კეთილმოწყობილი სკვერი. იგი მზად იქნება 7 ნოემბრისათვის.

სკვერს, რაიონული ცენტრის მოედანს და ბაღს დაამშვენებს რკინის ბოძებზე დადგმული დიდი ლამპიონები.

დიდი ისტორიული დოკუმენტი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებამ „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რომლის სამი წლისთავსაც დღეს აღვნიშნავთ, უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერების საქმეში. ამ ისტორიულ დადგენილებაში მკვეთრი და ნათელი გამოხატულება ჰპოვა ლენინ-სტალინის პარტიის თვალსაზრისმა მწერლობის უდიდეს სახალხო ღანიშნულებაზე, მის პარტიულობაზე. მასში ნათელი გამოხატულება ჰპოვა პარტიისა და სახელმწიფოს ზრუნვამ საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის, რომლებიც საბჭოთა ხალხის, საბჭოთა ახალგაზრდობის ბოლშევიკურად აღზრდის საქმეს ემსახურებიან.

ბოლშევიკური პარტია მხატვრულ ლიტერატურას ყოველთვის დიდ როლს აკისრებდა. პარტია მუდამ იბრძოდა, რათა დაეცვა, განმტკიცებინა და განეხორციელებინა ლიტერატურის პარტიულობისა და ხალხურობის დიადი პრინციპები, რომლებსაც გენიალური სტალინური სიზუსტით და ლაკონიურობით გამოთქვამს და აყალიბებს ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება. ლიტერატურის ბოლშევიკური პარტიულობის პრინციპი, რომელიც უფართოეს ასპარეზს აძლევს მწერლის გონებას და გაბედულ ფანტაზიას, რომელიც ანიჭებს მწერლობას რევოლუციურ მგზნებარებას, უნერგავს მას ნათელ ოპტიმიზმსა და უსაზღვრო რწმენას მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, განუმტკიცებს სამშობლოსა და ხალხისადმი უღრმეს სიყვარულს,—ეს პრინციპი ლენინმა და სტალინმა განავითარეს და საფუძვლად დაუდეს ლენინიზმის ესთეტიკას, მოძღვრებას, რომლის საფუძველზე აღმოცენდა, აყვავდა და გაფურჩქნა მსოფლიოში ყველაზე დიადი, ყველაზე მოწინავე და მაღალიდეური საბჭოთა ლიტერატურა.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი ლენინმა წამოაყენა ჯერ კიდევ 1894 წლის დამლევს—1895 წლის დამდეგს დაწერილ ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“. აქ ლენინმა ნათელყო, რომ მებრძოლი დიალექტიკური მატერიალიზმი ორგანულად შეიცავს პარტიულობას, რაც მოვლენათა შეფასების დროს სავალდებულოს ხდის სოციალისტური პროლეტარიატის თვალსაზრისზე პირდაპირ, აშკარად და გაბედულად დადგომას. ამ დიადმა იდეამ კვლავ ნათელი გამოხატულება ჰპოვა ლენინის წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბეჭდვითი სიტყვა „პარტიული (და არა საწრეო) საქმეაო“, ხოლო პარტიის მესამე ყრილობაზე ლენინმა პირდაპირ განაცხადა, „ლიტერატორს პარტიის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო“. შემდეგში ლენინმა ეს იდეა უფრო ვრცლად დაასაბუთა წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ და წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

„სოციალისტური პროლეტარიატისათვის, — აღნიშნავდა ლენინი,— ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო, პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი“ ერთი მთლიანი დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა“.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გენიალურ დასაბუთებას იძლევიან პირველი სტალინური გაზეთები ამერკავკასიაში. ამ პრინციპის მგზნებარე პროპაგანდას წარმოადგენს არაღეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის მოწინავე წერილი, რომელიც ამხანაგ სტალინის კალამს ეკუთვნის. წერილში „უპარტიო ახირებულნი“, რომელიც 1912 წელს პეტერბურგის გაზეთ „ზვეზდაში“ დაიბეჭდა, — ამხანაგი სტალინი გამანადგურებლად დასცინის წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ წრეებს, რომელნიც რევოლუციურ „უაღრესად სამარცხვინო და უაღრესად უნიჭო ათწლეულის“ სახელი უწოდა (ეს შეფასება ერთნაირად ეხება, როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურას).

აი რატომ იყო, რომ როცა ამხანაგი ა. ჟდანოვი თავის მოხსენებაში ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე და შემდეგ მწერალთა კრებაზე ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილების მნიშვნელობას განმარტავდა, ის ესოდენ დაწვრილებით ლაპარაკობდა ბელინსკისა და დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკისა და სალტიკოვ-შჩედრინის ბრწყინვალე ტრადიციაზე, XIX საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ყველა საუკეთესო ტრადიციაზე, რომლებიც მიიღო, განავითარა და ახალ საფეხურზე აიყვანა ლენინიზმმა. ამავე დროს, ამხანაგი ჟდანოვი იქვე დაწვრილებით ახასიათებდა რეაქციის წლების ლიტერატურას, როცა „დღის სინათლეზე გამოვიდნენ ყველა ჯურის სიმბოლისტები, იმაჟინისტები, დეკადენტები, რომლებიც უარყოფდნენ ხალხს, რომლებიც ქადაგებდნენ თეზისს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, უიდეობას ლიტერატურაში, რომლებიც თავიანთ იდეურ და მორალურ გახრწნილებას ფარავდნენ უშინაარსო ლამაზი ფორმისადმი გამოდევნებით“. ეს სტრიქონები შუქს ჰფენენ იმ სიტუაციას, რომელიც დამკვიდრდა ლიტერატურაში პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებმა მოქმედების ფართო ასპარეზი გადაუშალა კლასობრივ მტრებს, დაშლისა და რღვევის, დაცემულობისა და გახრწნის ბაცილით მოწამლა ინტელიგენციის ის ფენა, რომელიც რევოლუციის დიდი აღმავლობის პერიოდში მოვიდა წვრილბურჟუაზიულ წრიდან რევოლუციის რიგებში.

დეკადენტურ განწყობილებათა ტალღამ მოიცვა იმ წლების ქართული ლიტერატურაც. რეაქციამ ჩვენშიც დაფრთხო და დაამინა წვრილბურჟუაზიული და ლიბერალური ინტელიგენცია და ბუნებრივია, რომ ქართული ლიტერატურის მოედანი დეკადანსის მყრალი ბალახითა და ნარეკლით მოიფინა. ამ წლებში გაჩნდა უიდეო, უმიზნო ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილი იყო დეკადენტური ლექსებისა და ავადმყოფური ფანტაზიის საფუძველზე შექმნილი ნოველების სახით.

ყოველივე აქედან ცხადია, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხსენებული დადგენილება ავალებს საბჭოთა კრიტიკას შეურიგებლად იბრძოლოს თანამედროვე პოეზიის მაღალ იდეურობისა და სიწმინდისათვის და ამავე დროს მოგვცეს სწორი შეფასება ლიტერატურის ისტორიისა, გვიჩვენოს საბჭოთა ლიტერატურის ჯანსაღი ფესვები, რომლებიც ღრმადაა გადგმული კლასიკური ლიტერატურის წიაღში, გვიჩვენოს ისიც, რომ ამ თეზისების ამოთხრა, მათი შერყევა ვერ შეძლო გახრწნილი ბურჟუაზიული დასავლეთიდან ხელოვნურად გადმორგულმა დეკადანსის შხამიანმა ყვავილებმა, რომლებიც რეაქციის წლების დამპალ ნიადაგზე წარმოიშვნენ და რომლებიც დიდხანს წამლავდნენ ატმოსფეროს როგორც ქართულ, ისე რუსულ ლიტერატურაში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“ გზის მანათობელი შუქურაა როგორც საბჭოთა პოეტებისა და პროზაიკოსებისათვის, ისე ლიტერატურის კრიტიკოსებისა და ისტორიკოსებისათვის, რადგან მასში დასახულია არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი წინსვლის გზა, არამედ მოცემულია კულტურისა და ლიტერატურის ისტორიის ანალიზისა და შეფასების უტყუარი ბრძნული კრიტერიუმიც.

* * *

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ გადაჭრით გაილაშქრა ბურჟუაზიის გახრწნილი კულტურისადმი მონური თაყვანისცემის წინააღმდეგ. ეს დადგენილება გვინერგავს სიამაყეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოთი, გვინერგავს საბჭოთა პატრიოტის სიამაყეს და გვასწავლის, რომ ჩვენი ლიტერატურა ასაბაეს უფრო მა-

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ (1949-1951 წლები)" — განხორციელების ღონისძიებანი; 2. პარტიული განათლების ქსელში 1948-49 სასწავლო წლის შედეგებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. ყურშუბაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვეს საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საქმეში. ბევრი კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას.

მაგრამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც. ხულოსა და ქედის რაიონების ბევრ კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა და მეფრინველეობის ფერმების დაკომპლექტება. ჩამორჩება მეცხოველეობის განვითარების 1949 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებაც. ჯერ კიდევ დიდია პირუტყვის ბერწიანობა და მცირეა მისი პროდუქტიულობა.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხ. ხ. წულუკიძე (ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), მ. ტუღუში (აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე), დ. ლასურიძე (ბათუმის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ო. ბერიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ქედის რაიკომის მდივანი), ვ. ტრაპაიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი), შ. შარაშიძე (აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. კუბლაშვილმა.

— აჭარის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — განაცხადა მომხსენებელმა, — ხელმძღვანელობდნენ რა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებით და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, გარკვეული მუშაობა გასწიეს პარტიული განათლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. პარტიული განათლების სისტემაში შარშან ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდა 141 პოლიტსკოლა, რომლებშიც სწავლობდა 1.869 კომუნისტი, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 63 წრე, სადაც გაერთიანებული იყო 793 კომუნისტი, და საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი 86 წრე—1.287 მსმენელით. ჩამოყალიბებული იყო აგრეთვე საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელი მაღალი ტიპის სამი წრე, რომლებშიც სწავლობდა 64 კომუნისტი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მეტწილ წრეებსა და პოლიტსკოლებში მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე წარმოებდა. კარგი იყო აგრეთვე მსმენელთა დასწრებაც.

წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის, ქედის რაიონის სოფელ მეძიბნის ვიშინსკის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულმა პოლიტსკოლებმა.

კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. მათი რიცხვი წელს 5.164-ს შეადგენდა. მათგან საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას სწავლობს 4.760 კომუნისტი, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს — 214 კაცი. საგრძნობლად გაუმჯობესდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი დახმარება, მათთვის ხშირად იკითხებოდა ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის ცალკეულ თავებზე, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და პოლიტეკონომიაში.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევებისა, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებაში გასულ სასწავლო წელს სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდათ, წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტების დროს დაშვებული იყო შეცდომები და ზოგან დამახინჯებაც. ხულოს რაიონის ზოგიერთ წრესა და პოლიტსკოლაში დაბალი განათლების მქონე ამხანაგებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ საშუალო განათლების მქონე ამხანაგებიც. როგორც შემაჯამებელმა მეცადინეობამ ცხადყო, პარტიული ორგანიზაციების ნაწილი სუსტად ხელმძღვანელობდა წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობას, რასაც მოსდევდა მეცადინეობის ჩაშლა, მეცადინეობაზე მსმენელთა გამოუცხადებლობის შემთხვევები. ყველა ამის შედეგად წრეებისა და პოლიტკოლების ნაწილში გამოვლინდა მსმენელთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მასალის სუსტი ცოდნა, რის გამოც ზოგიერთი მსმენელი არ იქნა გამოშვებული. ასეთი მდგომარეობა იყო ხულოს რაიონის სოფელ გორგაძეების პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაში, სოფელ ოქტომბრის ტერიტორიულ პარტორგანიზაციასთან არსებულ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ წრეში და სხვ.

გასულ სასწავლო წელს მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენდა ზოგიერთ წრესა და პოლიტსკოლაში მეცადინეობის დაბალი დონე.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს პროპაგანდისტებთან, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ სუსტია დახმარება და კონტროლი მათდამი. პროპაგანდისტთა სემინარები ზოგჯერ შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდებოდა, ხოლო მეცადინეობაზე არ წარმოებდა თეორიულ საკითხთა საფუძვლიანი განხილვა, სუსტი იყო აგრეთვე მეთოდური დახმარება პროპაგანდისტებისადმი.

გასულ სასწავლო წელს სუსტად მუშაობდა ხულოს რაიკომთან არსებული საღამოს პარტიული სკოლა. სერიოზული ნაკლოვანებები იყო აგრეთვე მარქსისტულ - ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ ამხანაგებთან მუშაობაში.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად ფართოდ გაიშალა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. პარტორგანიზაციებმა უკვე გადადგეს ნაბიჯები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ" განსახორციელებლად. ყველგან შეჯამებულ იქნა გასულ სასწავლო წელს გაწეული მუშაობა და შედეგები განხილულია რაიკომების ბიუროთა სხდომებზე და პირველადი პარტორგანიზაციების კრებებზე. გარკვეული მუშაობა ჩატარებული პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმეში. გაშლილია მოსამზადებელი მუშაობა წრეებისა და პოლიტსკოლების დასაკომპლექტებლად. მაგრამ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. პარტიის რაიკომებისა და პირველადი პარტორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა დროულად დაზუსტონ წრეებისა და პოლიტსკოლების რიცხვი და მოაწყონ მათი სწორად დაკომპლექტება მსმენელებითა და პროპაგანდისტებით. პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლებისა და მათი მეთოდური დახელოვნების მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტთან ჩამოყალიბებულია პროპაგანდისტების კურსები, რომლებშიც გაერთიანებულია 115 კაცი. 22 პროპაგანდისტი გაგზავნილია თბილისში პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოწყობილ სოფლის პროპაგანდისტთა კურსებზე.

საჭიროა თავის დროზე მოვაწყოთ პროპაგანდისტთა სემინარები ცალ-ცალკე პოლიტსკოლებისა და წრეებისათვის. თავიდან უნდა ავიცილოთ ის შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც გასულ წელს გვქონდა წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტების საქმეში.

ამხ. კუბლაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ნ. ნიჟარაძემ (ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი), ა. გობრონიძემ) საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი), ვ. ყურაშვილმა (საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი), ე. ტაკიძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი), დ. ხელაძემ (საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი).

პლენუმის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ბეშვაიამ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

მოსავლის აღება და პურის დამზადება.

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება კარგახანია დაიწყო ბორჯომის რაიონის დაბლობის კოლმეურნეობებში. სოფელ ქვაბისხევის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ხაჭაპურიძე) მკა და ლეწვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდა პავლე მაისურაძის ბრიგადა. ამ ბრიგადის წევრები ალექსანდრე და სერგო ხაჭაპურიძეები დღეში ნახევარ-ნახევარ ჰექტარზე იღებენ მოსავალს. კარგად არის დაყენებული საგაგიტაციო მუშაობა. მოწინავე აგიტატორები ა. მაისურაძე, გ. ხაჭაპურიძე, ა. კოზანაშვილი, ა. ხაჭაპურიძე, თ. ნათენაძე სისტემატურად ესაუბრებიან კოლმეურნეებს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე, კარგად ეხმარებიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კედლისა და საველე გაზეთების გამოცემაში. ქვაბისხევის კოლმეურნეობამ უკვე ჩააბარა სახელმწიფოს 2.321 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის მარცვლეული და ამით მთლიანად მოიხადა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ მოსავლის აღების და პურის დამზადების საქმეში მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების დანერგვისათვის ბრძოლა სათანადოდ მოწყობილი არ არის. სოფელ კორტანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე დ. გელაშვილი) მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს პური გალეწილი, მაგრამ სახელმწიფოსათვის მის ჩაბარებას აჭიანურებს. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის სოფელ წაღვერის კოლმეურნეობებშიც. ყვიბისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გრ. გელაშვილი) პურეულის მკას აგვიანებენ. მართალია, ყვიბისის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ო. როგავა) ორჯერ განიხილა პარტიულ კრებაზე მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი, მიიღო დადგენილებაც, მაგრამ დადგენილება პრაქტიკულად არ განუხორციელებიათ. ამ პარტიული ორგანიზაციის სუსტ მუშაობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ თვით მდივანმა ამხ. როგავამ არ იცის, თუ ვინ არის კოლმეურნეობაში მოწინავე აგიტატორი, ვინ მუშაობს ცუდად.

ნაკლოვანებანი პურის დამზადებაში იმითაც აიხსნება, რომ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს დამზადების რწმუნებული ბორჯომის რაიონში ამხ. კირილე გუმბერიძე.

მოსავლის დროულად აღებისა და პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის უფრო მეტად უნდა იზრუნონ ბორჯომის რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ვ. გურგენიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

თბილისის მშენებლობებზე

მოედანზე გამოვიდნენ დუშელები და კაჭრეთლები

დათა მთიულიშვილს — მაღაროსკარელ კომკავშირელს და თედო ბოდაველს — ჭინჭარაანთკარელ კოლმეურნეს, თბილისის საქალაქო მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად დუშეთის რაიონიდან ჩამოსული კოლმეურნეების ბრიგადირებს რომ ჰკითხოთ, რატომ არჩიეთ აქ სამუშაოდ წამოსვლა, რატომ გამოგიწიათ აქეთ გულმაო, გიპასუხებენ: — სამუშაო, იცოცხლეთ, ჩვენშიც არავის აკლდეს, უმუშევარი არავინ იყოს, მაგრამ დედაქალაქის სამუშაოები მთელი რესპუბლიკის, მთელი ქართველი ხალხის ღირსების საქმედ მივიჩნიეთ და იმიტომ წამოვედით თბილისში. წამოვედით საკუთარი სურვილით და არა ვინმეს წინადადებითო.

ამასვე ამბობენ კაჭრეთიდან ჩამოსულებიც. დიმიტრი ღვინიაშვილმა, ჯიმითის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანმა, შეიტყო, რომ თბილისში ახალ სამუშაოებზე მუშახელი ესაჭიროებოდათ და თვითონ ითხოვა დაერთოთ მისთვის თბილისში სამუშაოდ წასვლის ნება. მან სხვა მოხალისეებიც აიყოლია და 24 საუკეთესო ვაუკაცი შეარჩია აქ წამოსაყვანად.

დუშელ და კაჭრეთელ კოლმეურნეებს თბილისში დაუყოვნებლივ მიუჩინეს სამუშაო. ისინი გაგზავნეს ვაკის პარკში დიდი სტადიონის მშენებლობაზე.

ჩამოსულები მოათავსეს საერთო საცხოვრებელში, აუხსნეს და განუმარტეს, როგორი უნდა იქნეს ეს სტადიონი, რა სამუშაოთა შესრულებაა საჭირო, ვის რა საქმეზე ურჩევნია იმუშაოს.

— მიწის სამუშაოები ნაცნობია ჩვენთვის. კარგი იქნებოდა გვცოდნოდა მებეტონეობაც, მაგრამ არ ცოდნა, არ ცოდვაო,—უთხრეს დუშელებმა სამუშაოთა მწარმოებელს ინჟინერ ლევან ჭელიძეს. თან გასწავლით, თან იმუშავებთო, განუმარტეს მათ, და დუშელები სიამოვნებით დათანხმდნენ ინჟინრის წინადადებას.

დუშელების ერთი ბრიგადა, რომელსაც თედო ბოდაველი ხელმძღვანელობს, საბეტონო სამუშაოებზე დადგა. ხოლოდ ხუთიოდე დღეა ისინი სტადიონის დასავლეთით საყრდენ კედელს აბეტონებენ და უკვე ისე გაიწაფეს ხელი, ისე აითვისეს მებეტონის პროფესია, რომ მაღალკვალიფიციურ მებეტონეებს არ ჩამორჩებიან. განსაკუთრებით კარგი უნარი გამოიჩინეს ბეტონის კეთებასა და ჩასხმაში ეფრემ თიგიშვილმა, დავით დავითურმა, პლატონ შაბურიშვილმა და რევაზ ოდიშვილმა.

დუშელთა მეორე ბრიგადა, რომელშიც 17 კაცია და რომელსაც დათა მთიულიშვილი ხელმძღვანელობს, მიწის სამუშაოს შეუდგა. ამ ბრიგადაში მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან გოგია ბაიაშვილი, იოსებ ჩიტუაშვილი, იასონ ქოქაშვილი და ილო ბუზალაძე.

დუშელებს ეჯიბრებიან კაჭრეთის რაიონიდან ჩამოსულები, რომლებიც მშენებლობის ხელმძღვანელებს ჯერჯერობით სამანერო ძალად ჰყავთ. სადაც უფრო სასწრაფო საქმეა გასაკეთებელი, იქ გზავნიან კაჭრეთლებს.

ვაკის სტადიონი, სადაც ახლა ამ ორი რაიონიდან ჩამოსული მშენებლები მუშაობენ, დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და დამამშვენებელი ნაგებობა იქნება. ის სამი მხრით შემოზღუდული იქნება ტრიბუნებით და ტერასსებრად განლაგებული დასაჯდომებით, ხოლო მეოთხე მხრისაკენ—ერთი წყება დასაჯდომებით და ღია გასასველელი ადგილით. სტადიონის პროექტი გონებამახვილადაა დამუშავებული. სასტადიონო მოედნის დონე აწეულ უნდა იქნას ერთი მეტრით. ამისათვის საჭირო იქნება დიდძალი მიწის დაყრა. დასაყრელი მიწა იქვე გვერდითაა. სტადიონის ირგვლივ საყრდენი კედლების ამოსაყვანად ზოგ ადგილას მიწის ამოთხრა 10-12 მეტრის სიღრმეზე უხდებათ. ამოღებული მიწის წაღება რომ შორს იყოს საჭირო, სტადიონის სამშენებლო ხარჯაღრიცხვას ეს დიდ სიმძიმედ დააწვებოდა, მაგრამ მიწას იქვე ყრიან და მშენებლობას ამით აიაფებენ.

სტადიონი უახლოეს წლებში დამთავრდება. იმ დროისათვის მოთავდება ვაკის პარკის მახლობლად ფიზკულტურის ინსტიტუტის მშენებლობაც და სტადიონისა და მასთან გადაბმული დიდი ფიზკულტურული მოედნის სივრცეებზე სპორტული შეჯიბრებები და ვარჯიში გაიმართება.

ახლა აქ, მომავალ სასპორტო მოედანზე მხოლოდ ორი რაიონიდან, დუშეთისა და კაჭრეთის რაიონებიდან ჩამოსული მშენებლები ეჯიბრებიან ერთიმეორეს ნაკისრი სამშენებლო სამუშაოების უმოკლეს დროში და საუკეთესო ხარისხით შესრულებაში. დუშელებმა რამდენიმე დღით დაასწრეს მოსვლა კაჭრეთლებს და მშენებელთა ხელმძღვანელები დუშელებზე უკვე ისე ლაპარაკობენ, როგორც შეჩვეულსა და მახლობელ ადამიანებზე, ამასთან იმასაც აღნიშნავენ, რომ კაჭრეთელი კოლმეურნეები ჯერჯერობით არაფრით ჩამორჩებიან მეზობლებს. ასი კაცი რომ გვყავდეს ისეთი, როგორიც ქოდალოელი გიორგი პატარქალაშვილი, ჩალაუბნელი ვანო მახარაშვილი, ყანდაურელი გიორგი კუპატაძე და მელაანელი გოგი მესხიშვილია, დედაქალაქის სამშენებლო ობიექტების კოლექტივებს შორის წინ ვეარავინ გაგვისწრებდაო, — ამბობს ინჟინერი ლ. ჭელიძე.

სტადიონის მშენებლობაზე მონელიან კოლმეურნეთა ჯგუფებს რესპუბლიკის სხვა რაიონებიდანაც. დაე იცოდნენ მათ, რომ აქ მათ დახვდებიან შრომაში თავდადებული ვაუკაცები, უკვე სახელმოხვეჭილი მშენებლები, რომლებთანაც ახლად ჩამოსულებს მოუხდებათ პირველობისათვის შეჯიბრება.

* * *

დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით მუშაობენ დუშელი და კაჭრეთელი კოლმეურნეები ვაკის სტადიონის მშენებლობაზე. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მშენებლებს შორის ჯერჯერობით არავითარი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა არ წარმოებს. მშენებლობის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა სასწრაფოდ უნდა გამოასწორონ ეს ხარვეზი.

დ. ამირანიძე

ლად წყობილებას, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილებაა, ბევრჯერ უფრო მაღალ კულტურას, ვიდრე ბურჟუაზიული კულტურაა. ბურჟუაზიული ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა, „აღსავსეა განგსტერებით, ვარიეტეს ქალებით, ადიულტერის შექებით და ყოველნაირ ავანტიურისტთა და ვიგინდარათა თავგადასავლით". ამ სიტყვებში მოცემულია ამომწურავი დახასიათება იმ გახრწნისა და მარაზმისა, რომელსაც ბურჟუაზიული ევროპისა და ამერიკის ლიტერატურა განიცდის. ეს გახრწნა ლიტერატურისა უოლსტრიტმა უკანასკნელ საზღვრამდე მიიყვანა; შიშითა და თანდათან მზარდი უიმედობით შეჰყურებს ბურჟუაზია დღევანდელ სინამდვილეს. სასოწარკვეთილებით და გაბოროტებით უარყოფს იგი ამ სინამდვილის ობიექტიურ და ულმობელ კანონებს, რომლებიც ბურჟუაზიის დაღუპვის გარდუვალობას ადასტურებენ. ბურჟუაზია გაჰკივის სამყაროს ირაციონალობასა, უაზრობასა და შემთხვევითობაზე. იგი დაბნეულობასა და შიშს ამჟღავნებს. ფრანგი მწერალი კლოდ მორგანი ამბობს: „შიშისაგან ათრთოლებული ბურჟუაზია მთელ თავის ძალებს იკრებს, რათა შეაჩეროს ხალხთა მასების ალმავლობა. აი რისთვის მიმართავს იგი ახლა რესპუბლიკის მესაფლავეებს — კოლაბორაციონისტებს და ბოიკოტელებს. ეს არის უკიდურესი უცილობლობის საკითხი, იმათი მობილიზაციის საკითხი, ვისი მობილიზებაც კი შეიძლება".

ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული ლიტერატურის დამპალი ჭაობის კალმოსნებმა წარმოუდგენელი განგაში ატეხეს, როცა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება გამოქვეყნდა. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ბასრი იარაღი აღმოჩნდა იმათ ხელში, ვინც კაპიტალისტურ ქვეყნებში იცავს მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის ინტერესებს, ის ბასრი იარაღი აღმოჩნდა უცხოეთის მოწინავე მწერლების ხელში. 1946 წლის 18 სექტემბერს გაზეთ „ფრონტ ნასიონალში" დაიბეჭდა ფრანგი მწერლის ანდრე ვიურმსერის წერილი. იგი ეხებოდა იმ ისტორიულ ამოცანებს, რომლებსაც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილება აყენებს მწერლობის წინაშე. ამ წერილში ფრანგი მწერალი მოუწოდებს ფრანგ ხალხს აღადგინოს თავისუფლებისმოყვარეობის დიადი ტრადიციები, რომლებითაც ესოდენ მდიდარი იყო კლასიკური ფრანგული ლიტერატურა. ვიურმსერი წერდა ფრანგი მოწინავე მწერლების სახელით: „ჩვენ არ ვწერთ არც ქალბატონ მენტენონისათვის, არც ქალბატონ ტრუმენისათვის. ჩვენი ლექსები არ არის განკუთვნილი ამ წრის ადამიანთათვის. თქვენ მეკითხებით: გადაბირებული ხომ არა ვარ მე? დიახ, მე გადაბირებული ვარ. მე ჩემი ნებით ჩავეწერე თავისუფლებისათვის მებრძოლთა რეგულარული ბატალიონის რიგებში". მოწინავე ფრანგი მწერალი ამ წერილში იმეორებს დიდი ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ სოციალისტური ლიტერატურა გამიზნულია არა მაღალი წრის სალონის მოყირჭებულ ქალბატონთა გასართობად, არამედ ემსახურება მილიონთა საქმეს, მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლების საქმეს. ასეთი უდიდესი როლი შეასრულა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მსოფლიოს მოწინავე ინტელიგენციის დარაზმვის საქმეში. ამ დადგენილებამ და მისი განხორციელებისათვის ბრძოლამ უჩვენა ყველას, რომ საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ერთადერთი ლიტერატურაა, რომელიც წარმოგვისახავს ახალი სოციალისტური საზოგადოების, კომუნიზმის მშენებელი ხალხის მზიურ ცხოვრებას, იმ მილიონობით ადამიანების სიხარულსა და ენთუზიაზმს, რომლებიც თავისუფალი ცხოვრების შემოქმედნი გამხდარან. ამ ლიტერატურამ აღმოაჩენა გმირობა ადამიანებისა, რომლებმაც დაიცვეს თავიანთი სოციალისტური ქვეყანა და რომლებსაც თავისუფლება და მშვიდობა მიაქვთ მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

ამრიგად, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გზა გაუკაფა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის მძლავრ აღმავლობას, არამედ მთელი მსოფლიოს მოწინავე მწერლებიც დარაზმა რეაქციის ბანაკის წინააღმდეგ. ამაშია ამ დადგენილების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა.

* * *

ყოველი საბჭოთა მწერალი უნდა ხელმძღვანელობდეს იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს — მისი პოლიტიკით.—ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ეს ბრძნული სტალინური ფორმულა ამომწურავად განსაზღვრავს ჩვენი მწერლობის ამოცანას. საბჭოთა ლიტერატურას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა ის არის, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის აღზრდაში, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია სიძნელეებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

ამ მითითებათა საფუძველზე დაიწყო საბჭოთა მწერლების მუშაობის შემოქმედებითი გარდაქმნა. საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხის ლიტერატურა გამდიდრდა ახალი რომანებით, მოთხრობებით, პოემებითა და ლირიკული ლექსებით, რომლებშიც აისახა საბჭოთა ხალხის გმირული ცხოვრება და ბრძოლა. თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამაც, რომელმაც აღკვეთა თავის რიგებში უიდეობისა და აპოლიტიკურობის ტენდენციები. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში ყველაფერი რიგზე იყოს. როგორც ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა აღნიშნა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობაზე, საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი პერიოდის შრომისა და ცხოვრების ამსახველი „მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებნი ჯერ კიდევ არა ჩანს. ომის შემდეგ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლებისათვის შემოქმედებითი წარმოსახვის საგანი. ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობამ, მწერალთა კავშირმა სერიოზულად უნდა იფიქრონ ამ საკითხზე".

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ჩანან სოციალისტური შრომის გმირები, ქალაქისა და სოფლის მოწინავე ადამიანები, რომლებიც სრულიად ახალი თვისებებით ხასიათდებიან.

არ ჩანან ჩვენს ლიტერატურაში სოციალისტური ინდუსტრიის ადამიანები, ეს მაშინ, როდესაც საქართველო გადაიქცა დიდად განვითარებულ მრეწველობის ქვეყნად, რომელიც დაფარულია ფაბრიკა-ქარხნებით, ელადგურებით, რკინიგზებით. ყველაფერი ეს შექმნა ქართველმა საბჭოთა პატრიოტმა, რომელმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაიმკვიდრა ბედნიერი ცხოვრება. ჩვენი ლიტერატურა უდიდეს ვალშია საქართველოს ინდუსტრიის ადამიანების წინაშე.

ქართულ ლიტერატურაში არა ჩანს ცხოვრება კოლმეურნეებისა, რომელთაც ენერგიული, თავდადებული, ორგანიზებული, მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიურ მეცნიერებაზე დაფუძნებული შრომით უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლის საქმეში. დღევანდელი კოლმეურნე თავისი საქმის მცოდნე, ახალი ტიპის მიწადმოქმედია, რომლის შემოქმედებითი შრომა სასწაულებს ახდენს. ეს სრულიად ახალი ადამიანია, რომლის მსგავსი ისტორიას არ ახსოვს. ეს ახალი ადამიანი მთელი სისავსით ჯერ კიდევ არ უჩვენებიათ ქართველ მწერლებს. ის ნარკვევები, რომლებიც ბოლოხანებში გამოქვეყნდა და რომლებშიც სოციალისტური შრომის გმირების ცხოვრებას ეხებიან, ამ ხარვეზს ვერ ავსებენ. ჩვენი მწერლობის ამ ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ცხოვრების უცოდინარობაა. დროა გავიგოთ, რომ წინანდელი ბელეტრისტული შტამპით, ძველი სიუჟეტური კვანძებითა და ხერხებით, ძველი, ბავშვობის-დროინდელი შთაბეჭდილებებით ახალ სოფელზე, ახალ ადამიანებზე ნაწარმოები არ დაიწერება. თვითონ ცხოვრებამ, სოციალისტურმა სინამდვილემ შექმნა ახალი ტიპები, ათასჯერ უფრო წარმტაცნი, ვიდრე შეუქმნია რომელიმე ეპოქას, შექმნა ახალი ხასიათები, ათასჯერ უფრო ძლიერნი, ვიდრე ოდესმე უხილავს მწერლის თვალს, ამავე ცხოვრებამ შექმნა ახალი სიუჟეტები, ათასჯერ უფრო საინტერესო და გონებამახვილური, ვიდრე ოდესმე წარმოუდგენია მწერლის გონებას.

ბუნებრივია, რომ მთელი ეს მჩქეფარე ცხოვრება არ ეტევა ძველი რევოლუციამდელი ბელეტრისტიკის სიუჟეტურ სქემებში, სადაც წამყვანი იყო ინტერესთა წინააღმდეგობა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა შორის. ამხ. ა. ფადეევი მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო 14 აგვისტოს დადგენილების განხილვისადმი, ამბობდა: „ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ბედნიერი ვართ არა მარტო დასავლეთ ევროპის მწერლებთან შედარებით, არამედ რევოლუციის წინადროინდელ რუს მწერლებთან შედარებითაც. ჩვენი სოზოგადოება აშენებულია სამართლიანობის საწყისებზე, ჩვენ რეალურ სინამდვილეში თვალწინ გვყავს არაჩვეულებრივად წარმტაცი საბჭოთა ადამიანი, მისი საოცრად მდიდარი სულიერი თვისებებით". ეს ადამიანი ქმნის ახალ ისტორიას და ძლევამოსილად მიმართავს წინ კომუნიზმისაკენ. ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უნდა შეძლოს ასახოს ჩვენი დიადი სინამდვილე ამ განუწყვეტელი განახლებისა და ზეაღმავალი განვითარების პროცესში; ეს იმას ნიშნავს, რომ შეგწევდეს უნარი— აჩვენო ახლის გამარჯვება ძველზე, წინა პლანზე წამოსწიო „არა ის, რაც ამჟამად მტკიცედ გვეჩვენება, მაგრამ უკვე კვდომას იწყებს, არამედ ის, რაც წარმოიშვა და ვითარდება" (სტალინი).

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებამ გადაჭრით დააყენა მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის ამოცანა. ეს ორი ცნება — იდეური სიმახვილე და მხატვრული ხარისხი — განუყოფელია ერთიმეორისაგან. უკანასკნელ ხანებში „პრავდამ" და „კულტურა ი ჟიზნმა" ამხილეს უაღრესად მავნე ტენდენცია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთ მწერალს ჰგონია, თითქოს აქტუალური თემა ყველაფერს გამოისყიდის და მხატვრულ ხარისხზე ზრუნვა საჭირო აღარაა. ამ მავნე ტ

საერთაშორისო მიმოხილვა

რას ნიშნავს ამერიკელი გენერლების ვიზიტი ევროპაში?

არც კი დაემთავრებინა ტრუმენს სიტყვები ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების „მშვიდობიანი“ და „თავდაცვითი“ ხასიათის შესახებ, რომ კონგრესში შეტანილ იქნა კანონპროექტი არა მარტო ხელშეკრულების მონაწილეთათვის, არამედ მთელი რიგი სხვა ქვეყნებისთვისაც „საშიდერო დახმარების შესახებ“. ამის შემდეგ ევროპაში გაემგზავრნენ ამერიკელი გენერლები, რათა ევროპის ქვეყნებისთვის თავს მოეხვიათ „საშიდერო დახმარების“ პირობები, ხელში ჩაეგდოთ დასავლეთ ევროპაში შეიარაღებული ძალების მართვა და ხელმძღვანელობა. ამასთან დასახული ჰქონდათ კიდეე ერთი ამოცანა — შინაპოლიტიკური ხასიათისა — გავლენა მოეხდინათ კონგრესზე, რომელიც საკმაოდ გულგრილად შეხვდა დასავლეთ ევროპის შეიარაღების გეგმას, რაც ტრუმენმა წარადგინა. ამერიკის სტრატეგიული გეგმების არსი აშკარად გამოაცხადა გენერალმა ბრედლიმ ევროპაში გაფრენის წინ. გენერალმა ბრედლიმ, რომელმაც განაცხადა ამერიკელ სენატორ კენნის ცნობილი კაციჭამიური თეზისი იმის შესახებ, რომ ევროპის ქვეყნებმა ომის ცეცხლში უნდა გაგზავნონ თავიანთი ახალგაზრდობათ, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იკისრებენ „სტრატეგიულ ატომურ დაბომბვას“ — მაშინ როცა საბჭოეთო ძალები, ე. ი. საზარბაზნე ხორცი, უნდა გამოიყვანონ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა.

ახლა დასავლეთის პოლიტიკური წრეები, რომლებმაც ამერიკის იმპერიალიზმს დაუკავშირეს თავიანთი ბედი, ვეღარ დაუფარავენ თავისი ქვეყნების ხალხებს იმ უდავო ფაქტს, რომ თუ მარშალის გეგმამ შეგიტა, ეკონომიურად დაიმონა დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ატლანტიკის ხელშეკრულება სამხედრო თვალსაზრისით ტოკინად აქცევს მათ ამერიკელი იმპერიალისტების ხელში.

იძლეოდა რა ვენსა და დასავლეთ გერმანიაში ამერიკის შტატების უფროსთა ვიზიტის კომენტარს, უცხოეთის პრესა აღნიშნავდა, რომ ამერიკის გეგმები ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიისა და ავსტრიის შეყვანას ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილეებად და მათი ტერიტორიის გადაქცევას მომავალი საშიდერო ფაშისტურების პლაცდარმად.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა და, პრესის ორგანოების ერთმა ნაწილმა ამერიკელი გენერლების ვიზიტის დღეებში მაქსიმალური მაამებლობა გამოიჩინა. „ძნელია იმის წარმოდგენა, — წერდა ინგლისური „ტაიმსი“,—რა შეიძლება კიდევ მოითხოვოს შეერთებულმა შტატებმა და რა შეიძლება კიდევ გააკეთონ ბრიუსელის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა. საეჭვნეიროდ, არაფერით არ ჩანს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ან აშშ-ის ელჩები შტატების უფროსები უკმაყოფილო იყვნენ“.

მაგრამ ამერიკელთა ვიზიტებით „გამდენიერებული“ ზოგიერთი დედაქალაქის რეაქციულ წრეებში შემფოთება სუფევდა. ინგლისის გაზეთი „სანდი ექსპრესი“ წერდა, რომ ამერიკის სამხედრო გეგმების განხორციელება შეიძლება „დამლუპველი თუ არა, საშინელი“ აღმოჩნდეს ინგლისისა და ინგლისელებისათვის. ამასვე ამბობდა ბევრი სხვა გაზეთიც.

პრესაში უკვე აღინიშნა, რომ ამერიკელ და ევროპელ გენერლებს შორის უთანხმოებაა. მაგრამ ამერიკის იმპერიალისტების უგუნურ ავრესიულ გეგმებს ნამდვილი წინააღმდეგობა ევროპის ქვეყნების ხალხთა მრავალმილიონიანმა მასებმა გაუწიეს.

„გენერალი ბრედლი შინ წავიდეს“, — ასეთი ლოზუნგით ჩაიარა პარიზის მშრომელთა მრავალთასიანმა მანიფესტაციებმა. ასეთივე ლოზუნგებით შეხვდნენ ამერიკელ გენერლებს ვენის მუშები. ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმების წინააღმდეგ ამჟამად ორგანიზებულად ილაშქრებენ მთელი მსოფლიოს ხალხები. ომის ისტერიას, მუქარის, შანტაჟისა და დაშინების პოლიტიკას დემოკრატიული ბანაკი უპასუხებს სიმშვიდით, სიდინჯით, სოლიდარობით, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნით.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი

10 აგვისტოს უნგრეთის პარლამენტმა დაიწყო განხილვა კონსტიტუციის პროექტისა, რომელიც გვიჩვენებს უნგრეთის წინსვლას სოციალიზმისაკენ. მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით უნგრელი ხალხის მიერ მიღწეულ შესანიშნავ წარმატებათა შედეგად დაისახა უნგრეთის ისტორიაში პირველი კონსტიტუციის შემუშავების ამოცანა. კონსტიტუცია განამტკიცებს უნგრეთის მიღწეულს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დარგში და უზრუნველყოფს სოციალიზმის მშენებლობის განგრძობის შესაძლებლობას. უნგრეთის დემოკრატიული განვითარების წარმატებანი საყოველთაოდ ცნობილია: რესპუბლიკური წყობილების დამყარება, სახალხო სახელმწიფოს ხელში მთავარი ეკონომიური პოზიციების გადასვლა, სახალხო მეურნეობის დაგეგმაზე გადასვლა და სამწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულება, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია მრეწველობის განვითარების ომამდელი დონე; მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, მშრომელი გლეხობის ხელში მიწის გადასვლა, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დაწყება, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობის მექანიზაციით (უნგრეთში უკვე შეიქმნა 200-ზე მეტი მტს-ი), შრომითი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება და სხვ.

უნგრელი ხალხის მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიღწევას წარმოადგენს განმტკიცება სახალხო დემოკრატიის ხელისუფლებისა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის როლს ასრულებს. განმტკიცდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, ამასთან ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის.

განადგურებულ იქნენ რეაქციულ-ფაშისტური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოდიოდნენ როგორც უნგრეთის კაპიტალისტური ელემენტებისა და გარეშე იმპერიალისტური ძალების აგენტურა.

მთელი ეს წარმატებანი მიღწეულ იქნა სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით, რასაც ახორციელებს მუშათა კლასის გაერთიანებული პარტია — უნგრეთის მშრომელთა პარტია.

უნგრეთის დემოკრატიის ეს ძლევამოსილი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, საბჭოთა არმიას რომ არ გაეთავისუფლებინა უნგრეთი და საბჭოთა კავშირს ომისშემდგომი დახმარება რომ არ გაეწია მისთვის. შემთხვევითი როდია, რომ უნგრეთის კონსტიტუცია იწყება იმის აღნიშვნით, თუ რა როლი შეასრულა სსრ კავშირმა ახალი უნგრეთისათვის. „დიდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, — ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში, — გადათავისუფლეს უნგრეთი გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან, გაანადგურეს მემამულეთა და კაპიტალისტთა ანტახალხური სახელმწიფო ხელისუფლება, დემოკრატიული განვითარების გზა გაუხსნეს ჩვენს მშრომელ ხალხს“. კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და „საბჭოთა კავშირზე დაყრდნობით უნგრელმა ხალხმა დაიწყო სოციალიზმის საფუძვლის ჩაყრა, და ჩვენი ქვეყანა მიდის სახალხო დემოკრატიის გზით, წინ სოციალიზმისაკენ“.

უნგრეთის კონსტიტუციის პროექტი სახალხო რესპუბლიკად აცხადებს უნგრეთს, სადაც მთელი ძალაუფლება მშრომელ ხალხს ეკუთვნის. პროექტით განსაზღვრულია სოციალიზმის მშენებლობის საქმის ძირითადი ამოცანები: კაპიტალისტური ელემენტების განდევნა, მეურნეობის სოციალისტური სისტემის მშენებლობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნისათვის ხელის შეწყობა და სხვ. კონსტიტუცია უზრუნველყოფს მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კონსტიტუციის პროექტი ერთსულოვნად მოიწონეს უნგრეთის პოლიტიკურმა პარტიებმა და ყველა მშრომელმა.

„უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია, — წერს უნგრული გაზეთი „ნეპსავა“, — განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში და ამავე დროს ჩვენი მშრომელი ხალხის ისტორიული ნაბიჯია ჩვენი ახალი ქვეყნის მშენებლობის გზაზე“.

ამერიკის კონტინენტის ხალხები მშვიდობისათვის იბრძვიან

მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელსაც ყველა ქვეყნის ხალხები ეწევიან, სულ უფრო აქტიურად იღებენ მონაწილეობას ამერიკის კონტინენტის მშრომელი მასები.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ენერგიულად ემზადებიან მშვიდობის დაცვის სრულიად ამერიკული კონგრესისათვის, რომელიც მექსიკოში შედგება ამა წლის 5 სექტემბერს. კონგრესში მონაწილეობას მიიღებს 1.500-მდე დელეგატი, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების 150 წარმომადგენელი. მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობას მხარს უჭერენ ლათინური ამერიკის მშრომელთა კონფედერაცია, რომელიც აერთიანებს 5 მილიონზე მეტ კაცს, პროგრესული პარტიები და მრავალი მასობრივი ორგანიზაცია.

ამერიკის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში იმართება მოსამზადებელი კონგრესები.

6 და 7 აგვისტოს კუბაში შედგა ეროვნული კონგრესი მშვიდობის დასაცავად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორი ათასმა დელეგატმა. ბრაზილიის ყველა სამრეწველო ცენტრში შეიქმნა მშვიდობის დაცვის კომიტეტები, არგენტინაში მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ: პროფკავშირები, არგენტინელ ქალთა კავშირი, ახალგაზრდა არგენტინელ პატრიოტთა კავშირი, ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლის ლიგა და სხვა მასობრივი ორგანიზაციები. მექსიკაში კონტინენტური კონგრესის მოწვევისათვის მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მექსიკის 35 მასობრივი ორგანიზაცია და რამდენიმე ათასი პროგრესული მოღვაწე. მშვიდობისათვის მოძრაობამ ფართო მასშტაბი მიიღო ეკვადორში, ურუგვაიში, ჩილეში, კოლუმბიაში, გვატემალასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

ლათინური ამერიკის ხალხთა მოძრაობა მშვიდობისათვის შეხამებულია ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან ამერიკის მონოპოლიების წინააღმდეგ, რომლებმაც დაამყარეს თავიანთი ბატონობა ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაზე. ამერიკის მონოპოლიებმა, რომლებიც ცდილობენ შეაჩეჩონ მომავალი ეკონომიური კრიზისი, კიდევ უფრო გაძლიერეს ექსპანსია ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ეს იწვევს გაჭირვებისა და შიმშილის ზრდას, რაგან ნიშნავს ამ ქვეყნების ეროვნული მრეწველობის შეკვეცას და ექსპორტის შემცირებას.

ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების რეაქციული მმართველი წრეები ახლა ცდილობენ აღვირახსნილი ტერორის გზით ჩაახშონ მასების მზარდი აქტივობა და, კერძოდ, ჩაშალონ მშვიდობის დაცვის სრულიად ამერიკის კონგრესი. ბრაზილიაში, სან-პაულოში, დააპატიმრეს 150 დემოკრატი მოღვაწე, რომლებიც ცდილობდნენ „ოფიციალური ნებართვის მიუღებლად“ მოეწყოთ სრულიად ამერიკის კონგრესისათვის მოსამზადებელი კონფერენცია. ბრაზილიის პოლიცია თავს ესხმის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციებს. არგენტინაში აიკრძალა მშვიდობის დაცვის ეროვნული კონფერენციები, მშვიდობისათვის მებრძოლთ ანატიმრებენ და მშვიდობის მომხრეებს აიძულებენ ფარულად იმუშაონ.

მაგრამ რეაქცია ასეთი პოლიციური ღონისძიებებით ვერ აბერხებს გასტეხოს მძლავრი მოძრაობა მშვიდობისათვის, რაც ახლა მოედო ამერიკის კონტინენტის ხალხთა უფლებათოეს მაესებს. ომის ვამჩაღებელთა კადნიერება და ცინიზმი ხალხის მძლავრ გულისწყრომას იწვევს.

ა. შატილოვი

ფრანგ სამხედრო ხელისუფალთა ჩარევა გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში

პრაღა, 12 აგვისტო. (საკდესი). ტელეპრესის საგენტოს კორესპონდენტი ბერლინიდან იუწყება, რომ ფრანგმა სამხედრო ხელისუფლებმა, რომლებიც განაგრძობენ გერმანიის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში ჩარევის პოლიტიკას, აკრძალეს კომუნისტური პარტიის რაინლანდ-პფალციის მხარის გაზეთის „ნოიეს ლებენის“ გამოცემა.

საფრანგეთის ზონის ბევრ ქალაქსა და სოფელში, მათ შორის ქალაქებში პირმაზენსა და კაიზერსლაუტერნში, ფრანგ სამხედრო ხელისუფალთა ბრძანებით კონფისკაციას იქნა კომუნისტური პარტიის ყველა წინასაარჩევნო მასალა.

უნგრელი მშრომელები იწონებენ უნგრეთის კონსტიტუციის პროექტს

ბუდაპეშტი, 12 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური მდივნის მატიას რაკოშის, რესპუბლიკის პრეზიდენტ არპად საკაშიჩისა და მთავრობის სახელზე საწარმოთა, დაწესებულებათა, სამეწარმეო-მომედო კოოპერატივთა კოლექტივებისაგან, გლეხებისაგან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ცალკეულ მოქალაქეთაგან კვლავ მოდის მრავალი წერილი და დეპეშა, რომლებითაც მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ დემოკრატიული უნგრეთის კონსტიტუციის პროექტს.

გუშინ უნგრეთის დედაქალაქის მთელ რიგ საწარმოებში შედგა კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. ჩეპელის რაიონის მშრომელთა მრავალათასიან მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „ახალი კონსტიტუციის პროექტს ისტორიული მნიშვნელობა აქვს უნგრელი ხალხის ცხოვრებაში. მის შექმნას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ უწინარეს ყოვლისა დიდი საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულ გმირჯვებას. საბჭოთა კავშირმა მრავალი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შესწირა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს, გაანადგურა ფაშისტური რეჟიმის სახელმწიფო მანქანა და მუდამ დიდად უწყობს ხელს ჩვენი სამშობლოს აღდგენას“.

უნგრეთში მაგულობს ზრაქტორების გამოშვება

ბუდაპეშტი, 12 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის მძიმე მრეწველობის საწარმოთა მშრომელები დიდი აღფრთოვანებით იბრძვიან უნგრეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სამწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სატრაქტორო ქარხანა „ჰოფნერმა“. 1946 წელს ქარხანამ გამოუშვა 60 ტრაქტორი, ამა წლის ივნისში — 150, წლის დადეგებისათვის კი ქარხანა უკვე 300 ტრაქტორს მოგაცემს თვეში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნები ახლა აკეთებენ ახალი ტიპის ტრაქტორებს, ტრაქტორის გუთნებსა და ფარცხებს. დაიწყო სატრაქტორო სათესი მანქანების წარმოება.

„ამერიკის დახმარება ზრდის ხალხთა საბერძნეთის დასამონებლად“

სტატია ბერძნულ გაზეთში

ათენი, 11 აგვისტო. (საკდესი). ყოველკვირეულმა გაზეთმა „კიბიარხოს ლოსმა“ გამოაქვეყნა მოწონადე სტატია სათაურით „ამერიკელები საბერძნეთში“, რომელშიც მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის პოლიტიკას საბერძნეთის მიმართ. „ამერიკელებმა, — ნათქვამია სტატიაში, — მთლად აიშვეს თავი საბერძნეთში. საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათმა აშკარა ჩარევამ, ამ ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის სრული მოსპობის საზე მიიღო. საბერძნეთის ეკონომიურ ცხოვრებაში მათი ჩარევა, ის გარემოება, რომ მათ იძულებით მიაჯაჭვეს საბერძნეთი ამერიკის ბაზარს, ძალადობით უზრუნველყოფს ამერიკის მონოპოლიების უფლება საბერძნეთის ეკონომიური რესურსების ექსპლოატაციისა, რის უკანასკნელი გამოვლენებაც იყო შეთანხმება „ავშორგამოულობის საშუალებათა რეორგანიზაციის“ შესახებ, იძლევა საბერძნეთის ეკონომიური გაძარცვის ამერიკული ტაქტიკის ნათელ სურათს. საბერძნეთი აღარ არსებობს როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა და ყველა რაფერში განახორციელებს დამოუკიდებელ პოლიტიკას.

გაზეთი ამერიკის დახმარებას. უწოდებს „ტროადის ცხენს“, რომელიც საბერძნეთში იგზავნება, „რათა მიაღწიონ საბერძნეთის პოლიტიკურ დამონებას და ეკონომიურ ექსპლოატაციას“. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად, შენიშნავს გაზეთი, ისინი იყენებენ ვითომდა „სლავური საფრთხით“ დაშინების ხელოვნურ საბაბს.

შემდეგ გაზეთი გადაკრულად ამბობს, რომ ამერიკელებს საკუთარი ინტერესებისათვის, კერძოდ ტიტოსთან ურთიერთობისათვის, შეუძლიათ საბერძნეთის ტერიტორიული მთლიანობაც კი მიიტანონ მსხვერპლად.

უნგრეთში შეიქმნა სამეურნეო-ტექნიკური აკადემია

ბუდაპეშტი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს უნგრეთის პარლამენტმა განიხილა და მიიღო კანონპროექტი სამეურნეო-ტექნიკური აკადემიის შექმნის შესახებ. აკადემია მომამზადებს ხელმძღვანელ კადრებს უნგრეთის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის.

აკადემიას სამი ფაკულტეტი ექნება — სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო.

გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა „მშვიდობის მომხრენი“

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს პარიზში გამოვიდა პირველი ნომერი ჟურნალისა „მშვიდობის მომხრენი“ (მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ორგანო).

ჟურნალში დაბეჭდილია მოწინავე სტატია სათაურით „ყველგან განკმტკიცოთ მშვიდობის ფრონტი!“, და სტატიები: ილია ერენბურგისა— „ეს მხოლოდ დასაწყისია“, საფრანგეთის ავიაციის ყოფილი მინისტრის პიერ კოტისა — „ატომის ენერგია სამშვიდობო მიზნით უნდა იქნას გამოყენებული“, იტალიელი სენატორის ემილიო სერენისა — „მშვიდობისათვის ბრძოლის გამოცდილება იტალიაში“, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილის გებერტისა (პოლონეთი) — „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ომის წინააღმდეგ“, მექსიკის ყოფილი პრეზიდენტის ლასარო კარდენასისა — „გავერთიანდეთ მშვიდობის დასაცავად!“, ლიბანის ცნობილი სახოგადო მოღვაწის და არქიტექტორის ანტუან ტაბეტისა — „ახლო აღმოსავლეთის ხალხები იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ“, ამერიკელი მწერლის ალბერტ კანისა — „წერილი ნიუ-იორკიდან“ და ჰაბლო ნერუდას პოემა „არავითარი პატიება!“

მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციის მოსკოვში მოწვევისადმი მიძღვნილია ფრანგი ჟურნალისტის პარიზის მუნიციპალიტეტის მრჩევლის ჟან გინბერის სტატია.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს მშვიდობის დაცვის ამერიკის კონტინენტურ კონგრესს, რომელიც სექტემბერში იქნება მოწვეული მექსიკოში. ამ საკითხისადმი მიძღვნილია კუბელი მწერლის ხუან მარინელოოს სტატია, ვრცელი ინფორმაცია მშვიდობის მომხრეთა მოძრაობისა და ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში ამ კონგრესისათვის მზადების შესახებ.

გამოქვეყნებულია აგრეთვე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თაგმჯდომარის გი დე ბუსონის სტატია, რომელიც მიძღვნილია მშვიდობის დასაცავად ახალგაზრდობის ძალების მობილიზაციისადმი.

ჟურნალში დიდი ადგილი უკავია 49 ქვეყნიდან მიღებულ ინფორმაციას ამ ქვეყნებში მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის შესახებ, აგრეთვე გამოქვეყნებულია მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისა და მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს მიერ მიღებული მანიფესტი და გადაწყვეტილებანი.

ჟურნალი გამოდის ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენებზე.

„საჰაერო ხიდი“ გერმანელ მოსახლეობას ერთ მილიარდ მარკად უჯდება

ბერლინი, 10 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „ნახტ-ექსპრესის“ ფრანკფურტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მაინის ფრანკფურტში არსებული ცნობებით, ეგრეთწოდებული „საჰაერო ხიდი“ ბერლინში დაახლოებით ერთ მილიარდ მარკად ჯდება, და როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, წარმოადგენს „ამერიკის საქმეთა საზოგადოებათა გარიგებას“. „საჰაერო ხიდთან“ დაკავშირებული ხარჯები დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მოსახლეობამ უნდა გაიღოს. „საჰაერო ხიდის“ ბუმაობის შედეგად დასავლეთ გერმანიის ვალები ამერიკის შეერთებული შტატებისადმი 11 მილიარდ დასავლეთის მარკამდე გაიზარდა.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის იმ ავიაკომპანიების მოგება, რომლებიც მომსახურებას უწევენ „საჰაერო ხიდს“, ინვარსია და თებერვალში 590 ათას დოლარს შეადგენდა. ამერიკის ავიაკომპანიების მოგება კიდევ უფრო დიდია.

მაგრამ ყველაზე დიდ მოგებას იღებენ ამერიკის ნავთის კომპანიები, რომლებმაც ამერიკის მთავრობასთან დადეს ხელშეკრულებანი „საჰაერო ხიდზე“ მომუშავე თვითმფრინავების საწვავით მომარაგების შესახებ. სწორედ ეს ხელშეკრულებანი, აღნიშნავს კორესპონდენტი, წარმოადგენენ იმის მიზეზს, რომ „საჰაერო ხიდი“ დღემდე დატოვებულია და მისი ლიკვიდაცია ნელი ტემპით წარმოებს.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში 1-ლ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა სიები

რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი

თ. წ. აბაშიძე, თ. რ. აბამია, ფ. ა. აბაზოღლი, გ. კ. აბდულშელიშვილი, თ. ს. აბრამიძე, დ. ვ. ალეფოიშვილი, რ. რ. აკობია, ნ. მ. ახვლედიანი, ე. გ. ადამია, ნ. ა. ანთაძე, რ. მ. აქიაშვილი, თ. ს. არევაძე, ა. ა. არუთინოვი, მ. გ. არუთინოვი, მ. კ. არუთინოვი, კ. ა. აყოფაშვილი, ნ. ა. არაქელოვი, ს. რ. ახვერდოვი, ა. მ. აირაპეტოვი, ნ. ს. არუთინოვი, ი. ვ. არინინი, რ. მ. ბაბაევი, ხ. ი. ბაბალიკაშვილი, მ. ა. ბაბუნაშვილი, დ. კ. ბოღდანოვი, ვ. ა. ბაღდასაროვი, ნ. ა. ბაგდინოვი, მ. ლ. ბაგინაშვილი, ე. გ. ბანდური, ზ. შ. ბალმიანცი, ე. ლ. ბარიქიანცი, თ. ვ. ბარამია, ი. ა. ბახტაძე, ა. ი. ბახტაძე, ე. შ. ბეგლეთოვი, რ. ს. ბეგლარიშვილი, ე. დ. ბეგოვანოვი, ე. ს. ბეკანოვი, ლ. ი. ბეკანოვი, ნ. ს. ბელაია, ტ. ა. ბელიაევა, ე. ტ. ბერიანი, ვ. პ. ბერულავა, ლ. ა. ბერეკაშვილი, ა. შ. ბერიძე, ე. გ. ბლიაძე, ე. ი. ბოინგაროვა, ე. ნ. ბოკუჩავა, ნ. გ. ბოლოტაშვილი, ი. ი. ბრეგვაძე, ი. გ. ბრეგვაძე, ნ. შ. ბუაჩიძე, მ. ა. ბუაძე, ნ. გ. ბაბაშვილი, ი. ი. გაბუნია, ვ. ი. გაგუა, ს. ა. გალდავა, მ. ტ. გალგარე, ე. ე. გვიჩია, ლ. ა. გეგეჭორი, მ. ე. გეგეჭკორი, გ. ი. გეგეჭკორი, ლ. ს. გელაშვილი, ე. გ. გელაშვილი, ე. მ. გელოვანი, ე. ს. გზირიშვილი, ა. ხ. გიორგობინაი, ლ. ვ. გნოლიძე, თ. კ. გოგობერიძე, ლ. ი. გოგინაშვილი, ქ. ა. გოგოლაძე, ე. გ. გოგოსაშვილი, ი. ი. გოგუა, პ. ა. გოგუა, თ. კ. გოდუაძე, ლ. ზ. გოზალიშვილი, ლ. მ. გრიგენკოვი, ი. ს. გრიგორიევი, ს. ს. გრიშაშვილი, მ. ი. გუბიანური, ე. მ. გულიევი, მ. კ. გულორდავა, შ. შ. გუმბა, ნ. ა. გურგენიძე, ნ. ი. დაბრუნდაშვილი, ე. ბ. დარჩია, გ. ა. დევდარიანი, ც. ი. დოლიძე, ნ. ლ. დონაძე, ც. შ. ებანოიძე, ნ. მ. ენუქიძე, ე. ა. ერაძე, ლ. ი. ერქელიშვილი, კ. კ. ვართანიანი, ნ. ი. ვათიაშვილი, შ. ს. ზაქარეიშვილი, მ. ბ. ზოლაძე, გ. ი. თავღოროაშვილი, ლ. ა. თადუმაძე, ბ. დ. თევზაძე, ს. რ. თევზაძე, ე. ა. თეიმურაზოვი, რ. ი. თოფურია, გ. კ. თუმანოვი, ი. ა. თურქია, ნ. ა. თუთბერიძე, შ. გ. იაგუპოვი, ა. გ. იალიანი, ნ. ნ. იარალოვი, დ. ი. ივანოვი, ლ. ი. ივანოვი, ე. ე. იგნატიევი, ე. ფ. იდოიძე, ნ. ა. იმედაძე, თ. ი. ინჯოდოვა, ა. ა. იოანიმედი, ჟ. ლ. იობიძე, მ. ა. ისაკიანი, ჰ. ნ. კაზაკოვი, ნ. ს. კაკაბაძე, ნ. გ. კაკაურიძე, თ. ლ. კაკულია, ქ. პ. კალანდაძე, ლ. ა. კალიაშვილი, დ. გ. კამკამიძე, გ. ი. კაპანაძე, ო. პ. კაკუტაძე მ. ს. კვალიაშვილი, რ. ვ. კვირიკაშვილი, მ. დ. კეკელიძე, ნ. ნ. კერესელიძე, ნ. ვ. კობაიშვილი, ა. მ. კოკანე, ნ. ნ. კიკნაძე, ლ. ს. კიკნაძე, ნ. ზ. კიკნაძე, ს. ა. კილასონია, ე. რ. კოხრეიძე, ე. გ. კუპრაშვილი, ა. კ. კუნიკიანი, ე. ვ. კუზმინი, მ. ა. კოსტოფი, ლ. პ. ლაბაძე, ზ. ლ. ლანჩავა, ნ. შ. ლატიაშვილი, ფ. გ. ლატარია, ლ. ი. ლომეკანიძე, ვ. ვ. ლომეკანიძე, ლ. კ. ლოლაძე, ნ. ი. ლოლიშვილი, ი. ა. ლომჯარია, ვ. ა. ლოჩოშვილი, ც. პ. მაღლაფერიძე, გ. ი. მამაგულაშვილი, ვ. დ. მარკოზაშვილი, მ. ა. მატეევსონი, მ. ა. მახარაძე, გ. დ. მაკავარიანი, კ. გ. მაკავარიანი, თ. ვ. მეგრელიშვილი, ო. შ. მელაშვილი, ნ. ს. მელიქაძე, ტ. ტ. მელიქ-შახნაზაროვი, ნ. კ. მესხი, ნ. ვ. მიქაძე, ე. ზ. მიქაძე, ე. შ. მიქაძე, რ. ჩ. მინდაძე, მ. გ. მირაქოვი, ი. ა. მირონოვი, ნ. ბ. მირუაშვილი, თ. ა. მოწონელიძე, ნ. ნ. მუზაშვილი, ლ. ვ. მუმლაძე, ა. ი. მუსელიანი, ლ. მ. მჭედლიძე, რ. დ. ნადარაია, ლ. ვ. ნაფეტარიძე, ე. ა. ნათაძე, ე. ვ. ნარსია, თ. ი. ნატროშვილი, ვ. ე. ნეროდენკო, მ. დ. ნეფარიძე, ლ. ს. ნიბლაძე, ქ. გ. ნიკოლაიშვილი, თ. გ. ნიკოლაიშვილი, კ. ო. ნინნანიძე, თ. გ. ობოლაშვილი, ქ. ს. ივანოვი, ვ. ი. ონანოვი, ნ. ი. ონანოვი, ე. მ. ორჯონიკიძე, თ. ა. ორმოცაძე, ე. ვ. ოსაძე, ე. ს. ოსიფაშვილი, ნ. ს. ოჩხიკიძე, ლ. ი. ბეკი, ვ. ი. პოლტარაკოვი, ვ. შ. პოლუმორდვინოვი, ნ. გ. ყვანია, დ. ნ. რაზმაძე, ზ. მ. რეფესკია, ლ. ა. რზაევი, ლ. ა. რობაქიძე, მ. გ. რომანიშვილი, ე. ს. როსტომოვი, ვ. ვ. რუდაკოვი, ე. ს. რუსია, ე. ი. რიაუზოვი, ნ. თ. საკოვი, ი. პ. საგინაშვილი, თ. ა. სანაკოძე, ქ. ფ. სასანია, ზ. ლ. სტეფანაშვილი, ნ. ს. სახურია, ო. ვ. სელიფანაშვილი, ლ. ფ. სერგეევი, ნ. თ. სიყმაშვილი, ლ. ვ. სიხარულიძე, ტ. ვ. სოხაძე, მ. ვ. სულაგა, მ. ფ. სულავა, ლ. გ. სულაქველიძე, ნ. ლ. სულაქველიძე, ე. ლ. სურმავა, დ. ა. სუხიშვილი, ა. ა. [illegible] ტაბიძე, ბ. ა. [illegible] ტურძილაძე, ბ. ვ. უშკაროვი, ი. ა. ფარეგეზოვი, დ. ვ. ფერაძე, ვ. ი. ფილია, ო. ი. ფინაშვილი, ო. რ. ფინანინიშვილი, ტ. ს. ფირცალავა, ნ. კ. ფიცხელაური, ბ. მ. ფოფხაძე, ც. ბ. ფრუთიძე, მ. ე. ფუბაკაძე, თ. ი. ფხალაძე, დ. ი. ფხალაძე, ვ. ნ. ქათამაძე, ვ. მ. ქეკბაძე, დ. ფ. ქურდიანნი, მ. ა. ქერქაძე, მ. ლ. ქიშმარია, ნ. ი. ქუთათელიძე, რ. ს. ღაბაზანია, ვ. ა. ღუბინა, რიშვილი, ს. მ. ყაზარიანი, მ. პ. ყუფარაძე, რ. ი. ფრანგულაშვილი, ე. ი. ფრიმერი, ვ. ბ. შაბელსკაია, მ. ლ. შალვაშვილი, რ. ბ. შარაბიძე, შ. პ. შარაშენიძე, მ. ტ. შიშინაშვილი, ვ. ი. შუბლაძე, მ. ი. შუქაქიძე, ნ. მ. ჩაბაია, ნ. ბ. ჩახუნაშვილი, გ. ა. ჩეკიაშვილი, ა. ა. ჩიბა, რ. ა. ჩიბა, ე. მ. ჩხეიძე, მ. ა. ჩხეკვაძე, ლ. ა. ცერცვაძე, ვ. ვ. ცოცელია,